ლელო

№ 94
(12 062)

5 – 7 დეკემბერი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

# საქართველოს სუპერთასი „ამერს“

ფოლკსვაგენის თასი
www.pfl.ge
ამერი თბილისი
სიონი ბოლნისი

# გუშინ...

## ბლატერს ისევ „გაზაფხული – შემოდგომა“!



ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ევროპის კლუბებს შესთავაზა ეროვნული ჩემპიონატების სისტემის შეცვლა „გაზაფხული-შემოდგომის“ მოდელით, ნაცვლად „შემოდგომა გაზაფხულისა“. ბლატერის თქმით, სისტემის შეცვლის მომხრეები ბევრნი არიან.

# დაჯილდოება

ქართული სპორტის პროპაგანდისა და მოსწავლე ახალგაზრდობის საქმეში შეტანილი დიდი პირადი წვლილისა და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ფრენბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **მიხეილ ფილიევი** დაჯილდოვდა საქართველოს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის **საპატიო სიგელით.**



კალათბურთი ▸ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## ლიდერებს ერთმანეთს ქულა აშორებთ

კალათბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სუპერლიგის VII ტურმა ანუ პირველი წრის მეორე ტურის მატჩებმა თბილისის სპორტის სასახლიდან ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში გადაინაცვლა. ეს ბაზა, სპორტის სასახლისგან განსხვავებით თბება და მთავარი მიზეზი სასპარეზო ადგილის შესაცვლელად, ალბათ, ეს იყო.

რუსთავის „აზოტი“ „დინამოს“ სტუმრობდა. როგორც მასპინძლებს, თბილისელებს უფრო თავგამოდებული თამაში მართებდათ, მაგრამ ასე არ მოხდა. პირველ მეოთხედში მოპოვებული უპირატესობა „დინამომ“ ვერ შეინარჩუნა და მეორე მეოთხედში 7 ქულიანი უპირატესობა 15 ქულიანი ჩამორჩენით გაფლანგა, მერე „აზოტმა“ ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვა და ისეთი უპირატესობით დაწინაურდა, ბოლო მეოთხედში თავს ლაღი თამაშის უფლება მისცა. მართალია, ფინიში „აზოტმა“ 3 ქულით დათმო, საბოლოო ჯამში გამარჯვება სოლიდურად გამოიყურება. „დინამომ“ მატჩი 94:116 დათმო (27:20, 18:33, 18:35, 31:38). ამ მატჩში 21-21 ქულა დაიმსახურეს დინამოელებმა ლაფანაშვილმა და გვიმრაძემ, სტუმრებიდან — მარკოიშვილმა და დიდიამ (20-20). ტურის რეკორდსმენი კიდევ ერთხელ გახდა მაქაბელი გიორგი შერმადინი, რომელმაც თავისიანებს ავიამშენებლებთან დაპირისპირებაში 24 ქულა მოუტანა. „მაქაბმა“ მატჩის პირველი მეოთხედი ტრადიციულად კარგად ჩაატარა და 2 ქულის სხვაობით დაიწყო მეორე მეოთხედი, თუმცა... 4 ქულით წააგო. შესვენების შემდეგ „მაქაბი“ ძალიან სუსტად გამოიყურებოდა, სურათი — დიდად არც ბოლო მეოთხედში შეცვლილა და... მორიგი მარცხი — 80:96 (26:24, 20:24, 14:23, 20:25).

ტურის კიდევ ერთი შეხვედრა ტექნიკურ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტელებს შორის შედგა. მიუხედავად იმისა, რომ სტუ თავგამოდებით იბრძოდა, გამარჯვება საბოლოოდ მაინც მეტოქეს დარჩა. ტექნიკოსები დამარცხდნენ 83:99 (18:31, 25:14, 17:31, 23:23).

**გათამაშების ცხრილი ახლა ასე გამოიყურება**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| აზოტი | 7 | 7 | 0 | 14 |
| ავიამშენი | 7 | 6 | 1 | 13 |
| თსუ | 7 | 4 | 3 | 11 |
| სტუ | 7 | 2 | 5 | 9 |
| დინამო | 7 | 1 | 6 | 8 |
| მაქაბი | 7 | 1 | 6 | 8 |

მორიგი ტურის მატჩები გაიმართება 8 და 9 დეკემბერს, 8 დეკემბერს ერთმანეთს შეხვდებიან: „აზოტი“ — „მაქაბი“, 9 დეკემბერს — „ავიამშენი“ — სტუ და თსუ — „დინამო“.



თსუ — სტუ
ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა



ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

# მარიამ ქევხიშვილი მაიამიში მესამე იყო

როგორც ადრე ვწერდით, ბირთვის კვრაში ქართველი ქალიშვილი, ათენის ოლიმპიადის მონაწილე მარიამ ქევხიშვილი აშშ-ში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად და იქაურ კლუბში განაგრძობს დაოსტატებას.



გუშინ, მარიამის პირადმა მწვრთნელმა ყარამან საბანაშვილმა რედაქციას აცნობა, რომ მარიამს წარმატებით უასპარეზია მაიამიში გამართულ ქვეყნის უნივერსიტეტების სტუდენტთა მძლეოსნურ ტურნირში.

„შეჯიბრებაში გამოდიოდნენ 30 შტატის უნივერსიტეტის რჩეული სტუდენტი — მძლეოსნები. მარიამს ბირთვი 16 მეტრზე გადაუგდია და მესამე საპრიზო ადგილზე გასულა. შედეგი შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო, მაგრამ იქ პლასტმასის სატყორცნი იარაღით ასპარეზობენ, რასაც ჯერ ჩვენი სპორტსმენი შეუჩვეველია“ — გვითხრა ყარამან საბანაშვილმა.

10 და 27 დეკემბერს მარიამი კიდევ ორ ტურნირში იასპარეზებს, მერე კი 2007 წლის სპორტული კალენდრით განაგრძობს გამოსვლებს. ეს ქალიშვილი კვლავ რჩება საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრად.

საქ. ინფორმაცია.

# მილოცვა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რ. შავლაყაძის სახელობის მძლეოსნობის ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა-მოზარდთა ცენტრალური სასპორტო სკოლის თანამშრომლები დაბადებიდან 70 წლის იუბილეს ულოცავენ ამავე სკოლის მთავარ მწვრთნელს, ცნობილ ვეტერან სპორტსმენს და დარგის ღვაწლმოსილ მუშაკს, XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტს, მძლეოსანთა თაობების, მათ შორის ოლიმპიადის მონაწილის აღმზრდელს, სახალხო განათლების წარჩინებულს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს **ყარამან საბანაშვილს.**

# ბორჯღალოსნები რეიტინგში...

„ირბ“-მა პლანეტის ეროვნული ნაკრებების მორიგი, ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა მსოფლიო რაგბის საერთაშორისო ასოციაციამ, რომელსაც იგი ყოველკვირეულად აცნობს სპორტის მოყვარულებს. ჩვენ ინტერესს იწვევს აღნიშნულ ცხრილში „ბორჯღალოსნების“ ადგილი. საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 25 სექტემბრიდან მეჩვიდმეტე სარეიტინგო პოზიციაზეა, რაც შეეხება ჩვენი გუნდის მეტოქეებს, მდგომარეობა ასეთია: საფრანგეთის ნაკრები მეორე ადგილზეა, რომელიც მხოლოდ ახალ ზელანდიელ „მავრებს“ ჩამორჩება. ირლანდიის ნაკრები მესამეა, არგენტინელი „პუმები“ მეექვსე...

არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ პორტუგალიის ნაკრები ოცდამეერთე, ხოლო რუსები მეოცე ადგილზე იმყოფებიან.

**საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:**

1. ახალი ზელანდია — 94,59 ქულა
2. საფრანგეთი — 85,94
38 ავსტრალია — 85,55
4. სამხრეთ აფრიკა — 84,71
5. ირლანდია — 84,68
6. არგენტინა — 79,61
7. ინგლისი — 78,68
8. უელსი — 77,02
9. შოტლანდია — 76,81
10. სამოა — 73,86

# პირველი ლედის თასი მესამედ!



ბათუმში გაიმართა ქვეყნის პირველი ლედის, **სანდრა რულოვსის** თასის მესამე გათამაშება ფრენბურთში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქალთა ნაკრებებს შორის.

დასავლეთის გუნდი ძირითადად წარმოდგენილი იყო ჯიხაიშელი ფრენბურთელი გოგონებით (მთავარი მწვრთნელი **ნუგზარ მიქაძე**), რომლებმაც ფინალურ ორთაბრძოლაში დაამარცხეს მეტოქე და მესამედ ზედიზედ დაეუფლნენ პირველი ლედის თასს.

გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ: **თინათინ მიქაძე, მირანდა ჟღენტი, მაკა მაღლაფერიძე, ირინა კახაძე, ნათია არველაძე, ირინა შენგელია, ნონა ღვინჯილია, თამარ გვანცელაძე, თამთა დავითულიანი, ნელი აირაპეტიანი, ინგა იოსებაშვილი და თამილა გეგუჩაძე.** საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ **ნათია არველაძე** (დასავლეთის ნაკრები) და **თამთა დანელია** (აღმოსავლეთის ნაკრები).

საუკეთესოებს პრიზები გადასცეს აჭარის ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **თამარ ლატარიამ** და ბათუმის №1 კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორმა **მუხრან გახტანგაძემ.**

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი. X ტური

# „ლოკომოტივმა“ წინ წაიწია

საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების ბოლო შეხვედრაში „ყოჩებმა“ 24:0 სძლია „ხულიგანას“ და ნახევარფინალში გავიდნენ. ბოლო ადგილზე მყოფი „აკადემია“ „ლოკომოტივს“ არ გამოუცხადდა და რკინიგზელებმა მიითვალეს მორიგი გამარჯვება. ნახევარფინალური შეხვედრები ჩატარდება 7 დეკემბერს, ერთმანეთს შეხვდებიან „ყოჩები“ — „ლოკომოტივი“ და „დინამო“ — „ლელო“.

სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტ. | 10 | 10 | 0 | 0 | %62 | 20 |
| 2. დინამო | 10 | 7 | 0 | 3 | %114 | 14 |
| 3. ლელო | 10 | 6 | 0 | 4 | %87 | 12 |
| 4. ყოჩები | 10 | 3 | 1 | 6 | -11 | 7 |
| 5. ხულიგანა | 10 | 2 | 1 | 7 | -112 | 5 |
| 6. აკადემია | 10 | 1 | 0 | 9 | -140 | 2 |

# დიდი შეჯიბრება ნარაზენში

## და კიდევ იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა 2006 წელს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჯანსაღი თაობის აღზრდას, სპორტულ საქმიანობაში მათ ჯანსაღ ჩაბმას, აფინანსებს შეჯიბრებებს.

დ. კვაჭაძის სახელობის ბავშვთა-მოზარდთა კრივის ოლიმპიური რეზერვების სასპორტო სკოლის (დირექტორი რ. მეგრელიშვილი) საშემოდგომო პირველობა გაიმართა ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში, 1991-92 და 1993-94 წლებში დაბადებული კადეტი მოსწავლე მოკრივეთა მონაწილეობით. თბილისის, გორის, ვარიანის, ერედვის, ყვარელის, წინანდლის, მარნეულის, ნორიოს, სოფ. გამარჯვების, დუშეთის, ბორჯომის, ზესტაფონის, ქსნის, სოფ. ნარაზენის, ბათუმისა და ქუთაისის 100-ზე მეტი მოსწავლე-მოკრივე გამოვიდა რინგზე.

თოთხმეტი წელიწადია ნარაზენში მუშაობს ჩვენი ჯგუფები. იზრდებიან პერსპექტიული მოკრივეები.

ღონისძიების ჩატარების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ნარაზენელთა მწვრთნელი გაგა თოდუა. მთავარი მსაჯი გახლდათ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი დ. ცერცვაძე. ჟიურის წევრები: ზუგდიდის სპორტული სკოლის დირექტორი – გ. ჩიქოვანი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რ. ნიკოლაძე, სკოლის დირექტორის მოადგილე უ. ზურაბაშვილი: საპატიო სტუმარი ბორის ლომაია. ოთხდღიანი დაძაბული ბრძოლების შემდეგ სხვა მოსწავლე-მოკრივეებთან ერთად განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ნაკრების გუნდის წევრმა თამაზ იზორიამ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: 1991-92 წლებში დაბადებულთა შორის – გოგი თორია (მარნეული), მიშიკო ავაკიანი (ბორჯომი), ვალერი კვინიკაძე (ბორჯომი), თამაზ იზორია (ზუგდიდი), რავშან აჯიევი (ქსანი), ნიკოლოზ ბილიხოძე (ბათუმი), რობერტ მარქაროვი (თბილისი), ჯემალ ბურჯანაძე (ქუთაისი), ზვიად გოგია (ზუგდიდი), გიორგი ჯინჭარაული (გამარჯვება), ბაჩანა ხვიჩია (ზუგდიდი), გიორგი მურზაშვილი (გორი), გიორგი ჭკადუა (ზუგდიდი), გიორგი ოჩიაური (გარდაბანი), ხვიჩა ჭელიძე (ზუგდიდი).

1993-94 წ. დაბადებულთაგან ხვიჩა ჭელიძე (ზუგდიდი), გიორგი ამაღლობელი (ბათუმი), ზაალ ყველაშვილი (წინანდალი), სამველ მაზმანიანი (ბათუმი), გიორგი ნაცვლიშვილი (ვარიანი), ნაზრეთ ვართანიანი (ბათუმი), ნიკა ლაბაძე (ზესტაფონი), თორნიკე ქსოვრელი, ნიკა ფიცხელაური (ორივე – ქსანი), გიორგი ჩაჩანიძე (ზესტაფონი), გიგა გიგაური (გორი), ნიკა გვაჯავა (თბილისი), გიგა წიკლაური (ნორიო), ვასიკო მჭედლიძე (ვარიანი), თორნიკე ქრისტესაშვილი (ერედვი).

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებითა და დიპლომებით. გულს ახარებს ის ფაქტი, რომ გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ, საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსულ მოკრივეებს მასპინძლობა გაუწია ნარაზენის მოსახლეობამ, რომლებმაც გულითადი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს. ჭაბუკებს არასდროს დაავიწყდებათ ის სითბო, რაც მასპინძლებმა გამოამჟღავნეს მათ მიმართ. ბატონმა ბორის ლომაიამ გამოთქვა სურვილი განათლების სამინისტროს ბავშვთა-მოზარდთა კრივის ოლიმპიური რეზერვების სასპორტო სკოლას გააჩნდეს საკუთარი შენობის ფილიალი ნარაზენში, რაც ხელს შეუწყობს ნიჭიერი თაობის აღზრდას, ჩამოაშორებს მათ ქუჩას. მართალია, ყველა სახელოვანი სპორტსმენი ვერ გახდება, მაგრამ გვეყოლება ჯანმრთელი ახალგაზრდობა, რაც სიამაყეა ნებისმიერი ქვეყნისთვის. „ოთხი დღეა ვაკვირდები ამ ღონისძიებას, თითოეული წყვილის ორთაბრძოლას ვაანალიზებ და მოხარული ვარ, რომ მომავალი თაობა დიდ ინტერესს იჩენს კრივისადმი, საერთოდ, სპორტისადმი. ვისურვებდი ბევრი ასეთი ღონისძიება ჩატარდეს საქართველოში მოსწავლე-სპორტსმენთა მონაწილეობით. ამ შეჯიბრებამ ბევრი მოსწავლე მოკრივე გამოავლინა, რომლებსაც შესწევთ უნარი მომავალში დაიცვან ეროვნული სპორტული ღირსება. მიმდინარე სპორტული სეზონი იწურება



და აქვე ვიტყვი, რომ 2006 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარდა: სასპორტო სკოლის სასწავლო საწვრთნელი შეკრება – ბორჯომში, სკოლის პირველობა კადეტ მოკრივეთა შორის – ვარიანში, სასწავლო-საწვრთნელი შეკრება – ბორჯომში, დ. კვაჭაძის სახელობის XXIII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი – ვარიანში, საქართველოს კადეტ მოკრივეთა პირველობა – ვარიანში, სპორტულ გამაჯანსაღებელი შეკრება – ბათუმში (ამ შეკრებაზე მიწვეული იყო გალისა და ერედვის მოსწავლე ახალგაზრდობა).

წლევანდელ სპორტულ სეზონს დავასრულებთ ბაკურიანში ან ბორჯომში ზამთრის საბანაკო-სასწავლო შეკრებით.

რეზო მეგრელიშვილი.

### საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1961-1970 წლებში

მიიწურა 1967 წელი. უკვე ტრადიციად ქცეულ სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვით გამოვლინდა ის საუკეთესო ათი სპორტსმენი, რომლებმაც გამორჩეული პოპულარობით მოიპოვეს იმ წელს საყოველთაო აღიარება. ჟურნალისტებს პასუხი უნდა გაეცათ ერთ შეკითხვაზე. ვინ არის ყველაზე პოპულარული სპორტსმენი საქართველოში 1967 წელს? სათავეში რჩეულთა შორის ამჯერად ჩაუდგა ზურაბ საკანდელიძე (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი კალათბურთში, ევროპის საუკეთესო მცველი) — 1592 ქულა, შემდეგ მოდიან: მურთაზ ხურცილავა (სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი) — 1435, ალექსანდრე მეტრეველი (სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის ჩემპიონი ჩოგბურთში, ორ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული) — 1243, რომან რურუა (მსოფლიოს ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში) — 1084, ომარ ფხაკაძე (მსოფლიოს რეკორდსმენი ველოსპორტში, (სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ჩემპიონი) — 1059, ნონა გაფრინდაშვილი (სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი ჰქონდა მოჭადრაკეთა შორის; სამ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული) — 696, გურამ საღარაძე (მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში) — 478, ნანა ალექსანდრია (ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე) — 253, შოთა ლომიძე (ევროპისა და მსოფლიო პირველობების მეორე პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი) — 233 და მეათე — ვიქტორ სანეევი (ევროპის ჩემპიონი, მეხიკოს წინაოლიმპიური კვირეულის გამარჯვებული, ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი მძლეოსნობაში) — 229.

პოლონური სპორტული ჟურნალი „სპორტოვეტი" 1959 წლიდან სისტემატურად ატარებს სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმს ერთადერთი შეკითხვით: დაასახელეთ ევროპის ნაკრები. 1967 წლის შედეგებით კონკურსში მარცხენა ცენტრალურ მცველად დასახელდა თბილისის დინამოს ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა, რომელიც მაშინ 24 წლისა იყო. საინტერესოა ევროპის 1967 წლის სიმბოლური ნაკრების სრული შემადგენლობა: მეკარე — გორდონ ბენქსი; დაცვა — ტომ გემელი, ბობი მური, მურთაზ ხურცილავა, ჯიანციტო ფაკეტი; ნახევარდაცვა — ფრანც ბეკენბაუერი, ფლორიან ალბერტი, ბობი ჩარლტონი; თავდასხმა — ჯიმ ჯონსტონი, ეუსებიო, იანოშ ფარკაში. აქვე დავძენთ, რომ 1959-1967 წლებში ხსენებულ ნაკრებში საბჭოთა კავშირიდან მოხვედრილან მხოლოდ ი. ვოინოვი, ვ. ვორონინი (ორჯერ) და ლევ იაშინი (ხუთჯერ).

1968 წლის 23 აპრილს კიდევ ერთი მაღალი მწვერვალი დაიპყრო ქართულმა კალათბურთმა. ვაჟთა გუნდმა ჩემპიონატის მიწურვამდე გაინაღდა სსრ კავშირის ჩემპიონობა და მეოთხედ დაისაკუთრა ოქროს მედლები. მწვრთნელების ლ. ინწკირველისა და გ. ავალიშვილის გუნდში თამაშობდნენ: ა. სხიერელი, ა. ლექავა, ვ. ალთაბაევი, ვ. უგრეხელიძე, მ. ქორქია, ლ. მოსეშვილი, ა. კაზანჯიანი, ვ. ნარიმანიძე, ს. მაღალაშვილი, ბ. ბოლქვაძე, ზ. ქარაბაკი, რ. მამალაძე, , ზ. ლეონტიევი.

ქართველი ფალავნებიდან იმ წელს პირველმა ომარ ეგაძემ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) მოუტანა თავის ქვეყანას გამარჯვება. ომარმა გამარჯვება იზეიმა ალმა-ათაში გამართულ ი. პოდუბნის სახელობის დიდ საერთაშორისო ტურნირში.

1967 წელს ხალხთა IV სპარტაკიადის შემდეგ მკაფიოდ გამოიკვეთა საქართველოს სპორტსმენთა ის ძირითადი ბირთვი, რომელთა რიგებიდან რჩეულები საქართველოს სპორტულ ღირსებას



ვიქტორ სანეევი



რომან რურუა

დაიცავდნენ სსრ კავშირის ნაკრებში მეხიკოში ზაფხულის XIX თამაშებში 1968 წელს. ოლიმპიელთა მზადების მკაცრი და საგანგებო რეჟიმი სახელმწიფო კონტროლზე იყო აყვანილი. თუმცა, თვეობით ოჯახებს და მეგობრებს მოწყვეტილი ათლეტები ყაზარმებსა და სპორტულ ბაზებზე არ ჰყოლიათ გამოკეტილი. კულტურული პროგრამა ითვალისწინებდა აქტიურ დასვენებას, შეხვედრებს შრომით კოლექტივებთან, რომელიც მაშინ წესად იყო დამკვიდრებული.

საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების საბოლოო შემადგენლობა შეირჩა და დადგინდა შიდა მწვავე კონკურენციის შედეგად. სპორტის ზოგიერთ სახეობებში, განსაკუთრებით ჭიდაობებში, ამ ოლიმპიადისთვისაც მწვავე იყო კონკურენცია ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად. ქართველი ფალავნებიდან ზოგიერთი, როგორც იტყვიან, ათი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე. თითოეულ წონაში იშვიათი იყო 5-7-ზე ნაკლები კონკურენტი.

მეხიკოში საქართველოდან 3 ფალავანი ასპარეზობდა საბჭოთა ნაკრებში — რ. რურუა, შ. ლომიძე და ზ. ბერიაშვილი. დანარჩენი 11 სპორტსმენი იყვნენ მძლეოსნები — ვ. სანეევი, გ. გუდაშვილი, ი. დელა-როსა, კალათბურთელები — ზ. საკანდელიძე, ს. კოვალენკო, ძალოსანი — დ. შანიძე, მსროლელი — შ. ქვლიაშვილი, ველოსიპედისტი — ო. ფხაკაძე, მოცურავე — თ. ლეკვეიშვილი, წყალმხტომელი — ბ. პოლულიახი.

მეხიკოს ოლიმპიურ სტარტებში 112 ქვეყნის 5516 სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის 781 ქალი. თამაშები პირველად ჩატარდა ზღვის დონიდან 2134 მ. სიმაღლეზე. მიუხედავად ამისა, ოლიმპიადაზე მარტო მძლეოსნობაში დამყარდა 26 მსოფლიო რეკორდი, რომელთაგან ერთი — სამხტომში ეკუთვნოდა ვიქტორ სანეევს (17.39). მეხიკოში მან სამიდან თავისი პირველი ოქროს მედალი მოიპოვა.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რომან რურუამ, რომელიც წინა ოლიმპიადაზე მეორე პრიზიორი იყო, ამჯერად ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა. ვერცხლის მედალი წილად ხვდა შოთა ლომიძეს (თავისუფალი ჭიდაობა) და დიტო შანიძეს, ბრინჯაოსი — ზურაბ საკანდელიძემ და სერგეი კოვალენკომ. ისევე, როგორც წინა თამაშებში, 1952 წლიდან მოყოლებული, ძირითადი დავა ოლიმპიური მედლებისა და საერთო გამარჯვების მოპოვებისთვის მეხიკოში წარმიართა სსრ კავშირისა და აშშ-ის სპორტსმენებს შორის. ოქროს მედლების რაოდენობით, რაც ოლიმპიურ თამაშებში თავის გამოჩენის და ავტორიტეტის ძირითადი მაჩვენებელია აშშ-ის ათლეტებმა სასწაული მოახდინეს — უმაღლესი სინჯის თექვსმეტით მეტი მედალი დაიმსახურეს, ვიდრე საბჭოელებმა შეფარდება ასეთი იყო 46:29 ამერიკელთა სასარგებლოდ. საბჭოთა დელეგაციას მხოლოდ ოთხით მეტი ვერცხლის მედალი ხვდა (32:28), რაც შეეხება მესამე საპრიზო ადგილს, აქაც ამერიკელების მხარეს იყო უპირატესობა (34:30). წინასწარი გათვლებით საბჭოთა სპორტის მესვეურებმა იცოდნენ, რომ მთავარი მეტოქე ძირითადად მძლეოსნებისა და ცურვის ხარჯზე შეეცდებოდა დაწინაურებას, მაგრამ ისეთი დიდი უპირატესობით, როგორც სინამდვილეში მოხდა — არა. ამას დაერთო სპორტის მთელ რიგ სახეობებში დაგეგმილი მედლების დაკარგვა და ამერიკელთა საერთო წარმატებაც ამან განაპირობა.

იმავე 1968 წელს გრენობლში გაიმართა, ზამთრის X ოლიმპიური თამაშები. საქართველოდან არავინ მონაწილეობდა. მანამდე სამ ოლიმპიადაში (1956, 1960, 1964) მონაწილე ბაკურიანელი კობა წაქაძე ამჯერად საკავშირო ოლიმპიურ ნაკრებში არ შეიყვანეს. კობა შემდეგ კვლავ აღიდგენს სპორტულ ფორმას და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ისევ დაიმკვიდრებს ადგილს საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებში.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

გაგრძელება იქნება.

დასაწყ. „ლელო" №56-დან.

## განცხადება

საქართველოს სპორტული ორიენტირების ეროვნული ფედერაცია „სსოეფ" აცხადებს, რომ 2006 წლის 7 დეკემბერს, ხუთშაბათს, 13 საათზე, ჩატარდება თბილისის სპორტული ორიენტირების საქალაქო ფედერაციის დამფუძნებელი კრება.

მისამართი. თბილისი. ფერიცვალების ქუჩა №23 (ავლაბარი), სკოლა „მომავალის" შენობაში.

ტელეფონი ინფორმაციისათვის 899-262-113; 893-222-790.

აკაკი ხვედელიძე

„სსოეფ"-ის პრეზიდენტი.

## დებიუტანტი

### რუბენ ცატურიანი (კარატე)



**დაიბადა** 1991 წელს

**წონა** — 55 კგ

**სიმაღლე** — 158 სმ

**თბილისის** 96-ე სკოლის IX კლასის მოსწავლეა.

**არის** კიონკუშინკაი კარატეს კლუბ „წმინდა გიორგის" წევრი

**სპორტში** ვარჯიშობს 2002 წლიდან

**პირველი** და ამჟამინდელი მწვრთნელია ტ. ავეტისიანი

**თავის** ასაკში არის აჭარის ღია ჩემპიონატის და თბილისის ღია პირველობების გამარჯვებული, საქართველოს სამგზის ჩემპიონი (2002-2004) თავის ასაკში, საერთაშორისო ტურნირის ლაურეატი (2005), კავკასიის ჩემპიონი (2006)

**არის** ყავისფერი ქამრის მფლობელი

**კარატეს** გარდა გატაცებულია ფეხბურთით.


### „ლელოზე" ხელმოწერა გრძელდება

3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი

6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი

ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესას", „მაცნეს", „ინფოსერვისს", „უწყებანს"


## ლელო – მატიანე

### 50 წლის წინათ...

**დეკემბერი – 1956 წ.**

**თბილისი.** ტრამვაი — ტროლეიბუსის სამმართველოს დარბაზში ჩატარდა თბილისის სპორტსკოლების პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. მონაწილეობდა დედაქალაქის 153 ტანმოვარჯიშე, მათ შორის 85 გოგონა. ჭაბუკებში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა 26 კომისრის სახელობის რაიონის ტანმოვარჯიშე გ. გრომოვი, გოგონებში — სტალინის სახელობის რაიონის სპორტსკოლის წარმომადგენელი მ. ნინოშვილი. გუნდური გამარჯვება წილად ხვდა ლენინის რაიონის ნაკრებ გუნდს.

**აბაშა.** რაიონში ფართოდ გაჩაღდა რესპუბლიკური ფესტივალისათვის მზადების სამუშაოები. ძირეული კოლექტივების უმეტესობაში დაიწყო ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლე და კოლმეურნე ახალგაზრდებმა.

**ონი.** ჩატარდა რაიონული პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რაიონის შვიდი საშუალო სკოლის 52 სპორტსმენი. გამარჯვება წილად ხვდა პიპილეთის საშუალო სკოლის გუნდს.

**ლაგოდეხი.** ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლაში გაიმართა შეჯიბრებები ფრენბურთში (გოგონათა შორის) და კალათბურთში (ვაჟთა შორის). ფრენბურთელთა შეხვედრებში გამარჯვებული გამოვიდნენ მე-10 კლასის, ხოლო კალათბურთში — მე-11 კლასის სპორტსმენები.


ფ რანგმა ჟურნალისტმა ფერნანდ ალბარემ პარიზის სპორტულ გაზეთ „ეკიპში" ამას წინათ ამ სათაურით გამოაქვეყნა ვრცელი სტატია. წერილში, რომელსაც ქვესათაურებად აქვს: „ელიტა ემზადება", „გავრილ კაჩალინის რევანში", „შეკრება სპლიტში", „თბილისი — გარდატეხის წრე", „ეროვნული ნაკრები კანს იცვლის", ავტორი განიხილავს საბჭოთა ფეხბურთის საკითხებს და განსაკუთრებით ეხება მის ახალ ჩემპიონს — თბილისის „დინამოს".
ვბეჭდავთ ფ. ალბარეს წერილს მცირეოდენი შემოკლებით.

საბჭოთა ფეხბურთის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ თბილისელები ბევრ რამეში უნდა უმადლოდნენ თავიანთ მწვრთნელს, ფეხბურთის ტექნიკისა და ტაქტიკის დიდ მცოდნეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გავრილ კაჩალინს. კი მაგრამ, ხომ დიდი ხანი არაა კაჩალინი გაანთავისუფლეს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელის მოვალეობისაგან! მე მითხრეს, რომ ბევრს სურდა, კვლავ ენახა იგი ამ საპასუხისმგებლო პოსტზე.
... როგორც კი ილევა ზამთარი, მაგრამ გაზაფხული ჯერ არ დამდგარა, აქ იწყ

რედაქციისაგან: „ლელოს" მკითხველებში დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენი გაზეთის 92-ე ნომერში გამოქვეყნებულმა ფრანგი ჟურნალისტის ჟან ნოს 40 წლის წინანდელმა სტატიამ ტაშკენტში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის პირველად გაჩემპიონებასთან დაკავშირებით. სტატია ფრანგულ პრესაში გამოქვეყნდა. დღეს გთავაზობთ კიდევ ერთი ფრანგი ჟურნალისტის ფერნანდ ალბარეს სტატიას, რომელიც „ლელომ" 1965 წლის 20 მარტს გადმობეჭდა.

# საბჭოთა ფეხბურთი ქართულ ტალღაზე

**ფრანგმა ჟურნალისტმა ფერნანდ ალბარემ პარიზის სპორტულ გაზეთ „ეკიპში" ამას წინათ ამ სათაურით გამოაქვეყნა ვრცელი სტატია. წერილში, რომელსაც ქვესათაურებად აქვს: „ელიტა ემზადება", „გავრილ კაჩალინის რევანში", „შეკრება სპლიტში", „თბილისი — გარდატეხის წრე", „ეროვნული ნაკრები კანს იცვლის", ავტორი განიხილავს საბჭოთა ფეხბურთის საკითხებს და განსაკუთრებით ეხება მის ახალ ჩემპიონს — თბილისის „დინამოს".**

**ვბეჭდავთ ფ. ალბარეს წერილს მცირეოდენი შემოკლებით.**

როცა მოსკოვში ვიმყოფებოდი, საბჭოთა ფეხბურთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული „ზამთრის ძილი". თუმცა ზამთარი იქ ერთობ გრძელია, ორნახევარი მილიონი საბჭოთა ფეხბურთელი თანდათან მოდის მოძრაობაში. ერთნი ვარჯიშობენ დარბაზში, მეორენი — დატკეპნილ თოვლზე... რომელზედაც ოფიციალური მატჩებიც კი იმართება, როგორიც იყო მოსკოვის „ტორპედოსა" და „ლოკომოტივის" თამაში ლუჟნიკის სტადიონზე, ათეულ ათასობით მაყურებლის თანდასწრებით. როგორც საკავშირო ფედერაციაში მითხრეს, შეჯიბრების პერიოდი გასტანს აპრილიდან ნოემბრამდე, ეროვნული ჩემპიონის წოდებისთვის იბრძოლებენ „ა" კლასის უძლიერესი გუნდები, ხოლო „ა" კლასის მეორე ჯგუფში თამაშები ჩატარდება იმისთვის, რომ გამარჯვებული გუნდები შევიდნენ უმაღლეს ლიგაში.

მაგრამ „ზამთრის ძილი" სრულიადაც არ ნიშნავს უმოქმედობას. ფეხბურთელები ზამთარშიც მუშაობენ თავიანთი ფორმის შესანარჩუნებლად, კულტურული და პროფესიული დონის ასამაღლებლად. მოსკოვსა და მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში არსებობს სასწავლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, სადაც ასწავლიან სხვადასხვა სპორტულ დისციპლინას, მათ შორის ფეხბურთსაც, სადაც იჭედება ფიზკულტურული სპეციალისტებისა და პედაგოგების ახალი კადრები. ძნელია ანალოგიის გატარება ჩვენსა და საბჭოთა ფეხბურთს შორის როგორც საორგანიზაციო დარგში, ისე სტრუქტურაშიც. სსრ კავშირი წარმოუდგენლად დიდი სივრცისა და გრანდიოზული ამპლიტუდის ქვეყანაა. თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ: ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელები ჩივიან, რომ პროფესიული ფეხბურთელების ნახევარი ცხოვრება მგზავრობაში მიდის, მაგრამ საფრანგეთში ხომ პირველი ლიგის გუნდის ყველაზე დიდი მგზავრობა არ აღემატება 1 000 კილომეტრს და თანაც ამგვარი პუნქტი ძალიან ცოტაა. რას იტყოდით თქვენ იმის თაობაზე, რომ ლენინგრადის „ზენიტს" ტაშკენტში მოსახვედრად უხდება საჰაერო ნახტომის გაკეთება 4 500 კილომეტრის სიგრძეზე. აი, ამიტომაა, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატში დაკანონებულია ე.წ. ეტაპობრივი მგზავრობანი. „ზენიტი" ჯერ ჩამოდის მოსკოვში, სადაც თამაშობს დედაქალაქის კლუბებთან, შემდეგ მიემგზავრება კიევში, ხოლო იქიდან — დონეცკსა და როსტოვში. ფეხბურთელთა მოგზაურობა გრძელდება არა რამდენიმე საათი, როგორც ეს ჩვენშია, არამედ მრავალი კვირის განმავლობაში! ვერაფერს ამის მსგავსს ვერ ნახავთ დასავლეთ ევროპაში, სადაც კალენდარული თამაშების პრობლემა არ აწუხებს არავის და ერთი კვირის განმავლობაში შეიძლება არა მარტო საკუთარი ჩემპიონატის მორიგი ტურის ჩატარება, არამედ საზღვარგარეთ „გადახვევაც" რაიმე საინტერესო საერთაშორისო მატჩის სათამაშოდ.

რა თქმა უნდა, ის, რაც ჩვენ ვთქვით ლენინგრადზე, ეხება თბილისის „დინამოსაც" და მის თანამემამულე — ქუთაისის „ტორპედოსაც". საერთოდ, შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამ მხრივ იმყოფებიან მოსკოვის გუნდები. არსებული კონიუნქტურისას თვითეული მათგანი სეზონის მანძილზე მხოლოდ ნახევარ დუჟინ თამაშს ატარებს გასვლაზე. სპორტული რეჟიმისა და საწვრთნელი პროცესის თვალსაზრისით ეს დიდი უპირატესობაა.

საქართველო პატარა რესპუბლიკაა. მისი მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 4,5 მილიონ კაცს, ხოლო სსრ კავშირში სულ 229 მილიონი მაცხოვრებელია. და მიუხედავად ამისა, საქართველო იქცა ამ გიგანტური ქვეყნის თავისებურ საფეხბურთო ცენტრად. უმაღლესი ეშელონის ჩემპიონატში საქართველოს წარადგენენ ახლანდელი ჩემპიონი — თბილისის „დინამო" და ქუთაისის „ტორპედო", მეორე ეშელონში თამაშობს თბილისის „ლოკომოტივი", მათს გარდა საქართველოს 5 გუნდი გამოდის „ბ" კლასში. თბილისი, როგორც მითხრეს, ინდუსტრიული ქალაქია, მაგრამ ამოუწურავი საფეხბურთო რეზერვები მას გააჩნია არა თავისი სამრეწველო-ეკონომიური პროფილით, არამედ განსაცვიფრებელი ჰავით. ამ მზიურ მხარეში ფეხბურთის თამაში შეიძლება წელიწადში 12 თვის მანძილზე. და მე ვფიქრობ, საქართველომ წამყვან მდგომარეობას საბჭოთა ფეხბურთში მიაღწია სწორედ უდიდესი საფეხბურთო რეზერვების წყალობით. იგი არასოდეს განიცდიდა ნაკლებობას თავისი უძლიერესი გუნდების შევსების საქმეში. მეორეს მხრივ, როგორც ეს სწორად შენიშნა ჩვენთან საუბარში კოლეგამ „სოვეტსკი სპორტიდან" მ. მერჟანოვმა, ქართველები თავიანთი შინაგანი ბუნებით და ტემპერამენტით განწყობილი არიან შემტევი, აგრესიული ფეხბურთისკენ. თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შემადგენლობანი დაკომპლექტებულია მხოლოდ ქართველებით და შემთხვევითი არაა, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონებმა აირჩიეს სისტემა 4-2-4 ყოველგვარი დაცვითი ვარიანტის გარეშე.გარდა ამისა, რამდენადაც ვიცი, მხოლოდ იმ გუნდებმა მიაღწიეს შარშანდელ ჩემპიონატში წარმატებას, რომლებიც მიმართავდნენ შემტევ ფეხბურთს: „დინამო" (თბილისი), „ტორპედო" (მოსკოვი) და ცსკა.

ყოველივე ამის შემდეგ უფლებას ვაძლევ ჩემს თავს დავასკვნა, რომ თბილისში არსებობს არა მარტო სისტემა, არამედ ის მაღალი მორალური სულისკვეთება, რომელიც ესოდენ საჭიროა წარმატების მისაღწევად.

საბჭოთა ფეხბურთის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ თბილისელები ბევრ რამეში უნდა უმადლოდნენ თავიანთ მწვრთნელს, ფეხბურთის ტექნიკისა და ტაქტიკის დიდ მცოდნეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გავრილ კაჩალინს. კი მაგრამ, ხომ დიდი ხანი არაა კაჩალინი გაანთავისუფლეს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრნელის მოვალეობისაგან! მე მითხრეს, რომ ბევრს სურდა, კვლავ ენახა იგი ამ საპასუხისმგებლო პოსტზე.

... როგორც კი ილევა ზამთარი, მაგრამ გაზაფხული ჯერ არ დამდგარა, აქ იწყება „მზის ძიება". ეს მოვლენა სავსებით კანონზომიერია განსაკუთრებით მაშინ, თუ გავიხსენებთ, რომ სსრ კავშირის ნაკრებს მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატის დონეზე ჩასატარებელი აქვს 6 მატჩი შესარჩევ ჯგუფში. წინაა დიდი და ძნელი სამუშაო, რომელიც მოითხოვს გულისხმიერ მზადებას კეთილნაყოფიერ პირობებში. ასეთი მზადების გეგმა შემუშავებულია და მისი პირველი ეტაპები ხორციელდება კიდეც. როცა ვტოვებდი სტუმართმოყვარე მოსკოვს, ცნობილი გახდა, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები სპეციალურ საწვრთნელ შეკრებას იწყებს იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში. ნაკრების 25 კანდიდატი თავის ხელმძღვანელობასთან ერთად მოძებნის სავარჯიშო ადგილს სადმე ალერსიანი ადრიატიკის ზღვის პირას...

სსრ კავშირში არც მალავენ, რომ მათი ნაკრები ერთგვარად დაბერდა და საჭიროა ამ „ნაოჭების" გასწორება ახალგაზრდობის ხარჯზე. ლაპარაკია იმაზე, რომ ნაკრებმა უნდა „კანი გამოიცვალოს" და ზოგიერთნი მოითხოვენ გუნდის განახლებას თითქმის 75 პროცენტით. მართლაც, იმ ნაკრებიდან, რომელიც უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა, ახლა ცოტანი დარჩნენ. „ოპერაცია ახალგაზრდობა" უშუალოდ ეხებათ ფეხბურთის ფედერაციას და ნაკრების ხელმძღვანელობას — ნ. მოროზოვს, ნ. გულიაევსა და ი. ზოლოტოვს. მისი რეალიზაცია არც ისე იოლი იქნება. ჯერ ერთი, თავისთავად ძნელია ახალი ფეხბურთელების შერჩევა და, მეორეც, — დრო საამისოდ ერთობ ცოტა დარჩა. უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი მატჩი საბერძნეთთან შედგება ჩემპიონატის დაწყებიდან სულ რაღაც 5 კვირის შემდეგ. როცა ფეხბურთში ხმარობ გამოთქმას „გაახალგაზრდავება", ეს მუდამ არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. ხშირად ეს უფრო „განახლებაა", ვინაიდან ვეტერანის შეცვლა შეიძლება არა მარტო ახალგაზრდა ფეხბურთელით, არამედ, უბრალოდ, ახალი მოთამაშით, რომელიც მანამდე სხვადასხვა მიზეზით არ შედიოდა ნაკრების შემადგენლობაში. განა ზემონათქვამის ნათელი ილუსტრაცია არაა ის, რომ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში 3 მოთამაშეა თბილისის „დინამოდან"? მათს შორის ახალგაზრდაა მხოლოდ გ. სიჭინავა, ხოლო ს. მეტრეველი და მ. მესხი შეიძლება ჩაითვალონ „ახლებად", ვინაიდან ისინი გარკვეული პერიოდის მანძილზე არ ითვლებოდნენ ნაკრებში.

ძნელია თქმა იმისა, თუ რა ბაზაზე წარმოგვიდგება სსრ კავშირის ნაკრები გუნდი წინამდებარე გათამაშებაში, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს იქნება თავისებური საფეხბურთო ლერძი მოსკოვი — თბილისი ასეთი ვარიანტით: მოსკოვური დამაჯერებლობა და სიმტკიცე, პლიუს ქართული ტემპერამენტი და ემოციურობა...

**ფერნანდ ალბარე.**



# გამოგონებულია ახალი ჭადრაკი

ნოვაცია

გამომგონებლები ოდითგან იქცევდნენ ყურადღებას. რომ არა მათი გონის გამობრწყინება, კაცობრიობა წინ ვერ წავიდოდა პროგრესის გზით, განვითარების საწყის ეტაპზე, ქვის ხანაში ჩარჩებოდა. სიახლეთა ძიება მარადიული პროცესია და მანამ იარსებებს, სანამ იარსებებს ადამიანი. გამომგონებლებს, ამ იშვიათი ნიჭის ადამიანებს, ყველგან გამორჩეულ პატივს მიაგებენ. აფასებენ მათ შრომას, აჯილდოებენ სხვადასხვა პრემიაზე, მათ შორის ნობელის პრემიაზე წარადგენენ...

საქმე ხანდახან დასწრებაზეცაა. იმისათვის, რომ სადავო არ გახდეს ვის უფრო ადრე გაუბრწყინდა გონება და ამოიცნო ამოუცნობი, ანუ გზა გაუხსნა სიახლეს, კარგა ხანია მოქმედებს გამოგონების დაპატენტების წესი.

სიტყვა „პატენტის" უპირველესი განმარტება ასეთია: **„პატენტ-ი** (ლათ. PATENS (PATENTIS) ღია, აშკარა) — 1. მოწმობა, რომელიც ადასტურებს გამომგონებლის განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე"...

საქართველოში უამრავი გამომგონებელია, ბევრი მათგანის სიახლე წარმატებით დაინერგა პრაქტიკაში. სხვათა შორის, გამონაკლისი არც სპორტის სფეროა. სწორედ ამ სფეროში დააპატენტა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამალთა ტექნოლოგიის კათედრის პროფესორმა **იპოლიტე მონიავამ** თავისი გამოგონება სახელწოდებით: „ჭადრაკის დაფა და ფიგურები". არსი ასეთია: საჭადრაკო დაფებზე უჯრებისა და სათამაშო ფიგურების რაოდენობის, აგრეთვე ფიგურების საწყისი მდებარეობების მიხედვით მოწოდებულია ჭადრაკი დაიყოს 4 კატეგორიად: კლასიკური — 64 უჯრიანი, უნივერსალური — 196 უჯრიანი, უნივერსალური I კატეგორიის — 144 უჯრიანი და უნივერსალური II კატეგორიის — 100 უჯრიანი.


**ნახ 1. 64 უჯრიანი კლასიკური ჭადრაკი**


ნახ.2 196 უჯრიანი უნივერსალური ჭადრაკი (14X14-უმაღლესი კატეგორიის)
"ს" - სარდალი
"მრ" - მარშალი
"გ" - გენერალი
ნახაზე სქემატურად ნაჩვენებია "სარდლის" "მარშლისა" და "გენერალის" სვლების შესაძლებლობები.


**ნახ. 3. 144 უჯრიანი უნივერსალური ჭადრაკი (12X12 პირველი კატეგორიის)**


**ნახ. 4. 100 უჯრიანი უნივერსალური ჭადრაკი (10X10 მე-2 კატეგორიის)**

# ქართული ფეხბურთი

**I დეკემბერი. სტადიონი. „მიხეილ მესხი“. 3.300 მაყურებელი**

**სიონი (ბოლნისი) — ამერი (თბილისი) 0-1**

**სიონი:** ბობლიაშვილი, ჭიჭვეიშვილი, ზ. ჭელიძე, კობაური, რაქვიაშვილი, ოქროპირიძე, ლ. ბაჯელიძე (შავგულიძე 63), ვ. უგრეხელიძე (კვიტაიშვილი 46), ა. ალავიძე, ევოჩე (ქარდავა 80), ჩასემი.

**ამერი:** ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, გ. დოლიძე (დ. მჭედლიშვილი 90), დეკანოსიძე, ბოლქვაძე, გ. ჯელაძე, რ. წინამძღვრიშილი (სევასტოპულო 85), ტატანაშვილი.

**გოლი:** 0-1 გ. დოლიძე (38)

**გააფრთხილეს:** ბოლქვაძე (10), დიდავა (13), რაქვიაშვილი (22), ქვაჩახია (70), ჩასემი (86), ოქროპირიძე (90).

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი (თბილისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), მ. მაისურაძე (თბილისი).

**დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი;

**დელეგატი:** პ. ბურჯალიანი.





ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა

## საქართველოს სუპერთასი. „ამერი“ „ფოლქსვაგენში“ ჩაჯდა

საქართველოს სუპერთასის აღდგენილი გათამაშება საავტომობილო ფირმა „ფოლქსვაგენის“ სპონსორობით პირველად ჩატარდა. თასისთვის პაექრობა ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის მართლაც გათამაშების შესაფერისი გამოდგა. საქართველოს სუპერთასს წლეულს, უკეთ მომზადებული და შედარებით ძლიერი შემადგენლობის თბილისის „ამერი“ დაეუფლა. ამერელთა უპირატესობის დასამტკიცებლად **გრიგოლ დოლიძის** ერთადერთი გოლიც საკმარისი გამოდგა. თასის მფლობელმა თბილისურმა გუნდმა ფულადი ჯილდო 10 000 ლარიც მიიღო. „ამერი“ თბილისისა და ბათუმის დინამოელთა შემდეგ მესამე კლუბია, რომელიც სუპერთასს დაეუფლა. ამერელმა **გივი დიდავამ** სუპერთასი მეოთხედ მოიგო, რაც თავისებური რეკორდია. წინა სამ გამარჯვებას მან თბილისის „დინამოში“ თამაშისას მიაღწია. სუპერთასი მეორედ მოიგო ამერელთა კაპიტანმა **გიორგი დავითნიძემ.** შეგახსენებთ, აქამდე სუპერთასი ოთხჯერ თბილისის „დინამომ“, ერთხელ კი ბათუმის „დინამომ“ მოიგო.

მოკლედ წლეულს „ამერმა“ სათასო დუბლი შეასრულა. მოიპოვა საქართველოს თასიც და სუპერთასიც.

## ჭაბუკები კუნძულზე

კვირას, საქართველოს 19 წლამდე ჭაბუკთა ნაკრები მალტაში გაემგზავრა. ქართველები კუნძულზე ადგილობრივ თანატოლებთან, 5 და 7 დეკემბერს, ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. მალტური შეკრება საგაისო ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპია. ჩვენები გაზაფხულ-ზაფხულში ელიტ რაუნდში იასპარეზებენ. **ჰაინც ტოპმიოლერს** მალტელებთან საპაექროდ ნაკრების მომზადებაში **კლაუს ტოპმიოლერი** და **რალფ მინგე** დაეხმარებიან. ნაკრებში ორი ცვლილებაა. ტრავმირებული გაგრელი **ვახტანგ ქვრივიშვილის** და ზესტაფონელი **გიორგი ხიდეშელის** ნაცვლად ნაკრებში ზესტაფონელი **მურთაზ დაუშვილი** და ამერელი **გიორგი ნიკოლაიშვილი** მიიწვიეს. ჭაბუკთა ნაკრების სრული შემადგენლობა ახლა ასეთია:

**მეკარეები:** რევაზ თევდორაძე (მ. ზაპოროჟიე, უკრაინა), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);

**მცველები:** გულვერდ თომაშვილი (დინამო), გიორგი ელბაქიძე (ამერი), დავით მჭედლიშვილი (ამერი), ზურაბ გვაძაბია (ამერი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), ლაშა თოთაძე (გაგრა).

**ნახევარმცველები:** გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), ნიკო კვასხვაძე (ზესტაფონი), მირზა ბჟალავა (ზესტაფონი), ლევან ყენია (ლოკომოტივი), დავით თარგამაძე (დინამო), ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი), გიორგი ნიკოლაიშვილი (ამერი);

**თავდამსხმელები:** ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია).

## მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ქალიშვილის **ანასტასიას** დაბადებას ულოცავს **აკაკი ბირბიჩაძეს.**

## იმედის თასი.XIV ტური

ავაზა — მიმინო 2-1
გრეტნა — გურია 6-2
თბილისი — მერანი1 5-1
ნ. დინამო (90) — საუ 4-2
ნ. დინამო (88) — გეორგია-ომც 1-0
არაგველები2 — მთ. გლობუსი 2-2
შავნაბადა — ნ. დინამო (89) 0-2
სპ — ლიდერი — ცხუმი2 5-1
დიოსკურია — მერანი 2-5

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო(89) | 14 | 11 | 3 | 0 | 40-10 | 36 |
| ნ. დინამო(90) | 14 | 10 | 2 | 2 | 36-24 | 32 |
| მერანი | 13 | 9 | 3 | 1 | 33-8 | 30 |
| არაგველები2 | 14 | 8 | 5 | 1 | 34-14 | 29 |
| გურია | 14 | 7 | 3 | 4 | 23-23 | 24 |
| მთ. გლობუსი | 14 | 4 | 8 | 2 | 18-11 | 20 |
| ავაზა | 14 | 5 | 3 | 6 | 26-24 | 18 |
| ცხუმი2 | 13 | 5 | 3 | 5 | 18-20 | 18 |
| გეორგია-ომც | 13 | 4 | 6 | 3 | 16-16 | 18 |
| თბილისი | 14 | 4 | 5 | 5 | 28-27 | 17 |
| გრეტნა | 14 | 4 | 5 | 5 | 26-27 | 17 |
| საუ | 13 | 4 | 4 | 5 | 21-26 | 16 |
| შავნაბადა | 14 | 4 | 2 | 8 | 17-26 | 14 |
| ნ. დინამო(88) | 13 | 4 | 1 | 8 | 15-26 | 13 |
| სპ.ლიდერი | 14 | 3 | 3 | 8 | 14-31 | 12 |
| დიოსკურია | 14 | 3 | 2 | 9 | 21-34 | 11 |
| მიმინო | 14 | 1 | 4 | 9 | 11-25 | 7 |
| მერანი1 | 13 | 2 | 0 | 11 | 14-34 | 6 |

## დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის“ გათამაშება

**VI ტური**

**I ჯგუფი**

სპარტაკი — ზესტაფონი 0-3
ამერი — კახეთი (5.12.2006)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1. ზესტაფონი** | **6** | **4** | **1** | **1** | **14-3** | **13** |
| 2. ამერი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| 3. კახეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 4. სპარტაკი | 6 | 0 | 1 | 5 | 0-14 | 1 |

**II ჯგუფი**

მესხეთი — ტორპედო 3-0
ვიტ ჯორჯია — ბორჯომი 4-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1. ტორპედო** | **6** | **3** | **2** | **1** | **6-4** | **11** |
| **2. ბორჯომი** | **6** | **2** | **2** | **2** | **5-9** | **8** |
| 3. ვიტ ჯორჯია | 6 | 1 | 3 | 2 | 4-2 | 6 |
| 4. მესხეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 4-4 | 6 |

**III ჯგუფი**

ნ. დინამო — ოლიმპი 3-2
დინამო — ჩიხურა 5-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1. დინამო(თბ)** | **6** | **4** | **0** | **2** | **17-7** | **12** |
| **2. ჩიხურა** | **6** | **3** | **2** | **1** | **7-6** | **11** |
| 3. ოლიმპი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 7 |
| 4. ნ. დინამო | 6 | 1 | 1 | 4 | 5-15 | 4 |

**IV ჯგუფი**

მერანი — მეშაქრე 1-3
სიონი — დინამო (5.12.2006)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **1. სიონი** | **5** | **4** | **1** | **0** | **8-2** | **13** |
| **2. დინამო(ბთ)** | **5** | **3** | **2** | **0** | **11-2** | **11** |
| 3. მერანი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-11 | 4 |
| 4. მეშაქრე | 6 | 1 | 0 | 5 | 3-12 | 3 |

თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი ხვალ ორი გადატანილი მატჩით დასრულდება. მთავარი მატჩი გლდანში ჩატარდება. შემდეგ ეტაპზე გასასვლელი დარჩენილი ერთადერთი საგზურისთვის „ამერი“ „კახეთს“ დაუპირისპირდება. მეორე მატჩი ბოლნისის „სიონსა“ და ბათუმის „დინამოს“ შორის ფორმალური ხასიათისაა. მეტოქეები მხოლოდ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისთვის იპაექრებენ. ასე რომ, მეოთხედფინალში გასული შვიდი გუნდის ვინაობა უკვე ცნობილია: „ზესტაფონი“, „ტორპედო“, „ბორჯომი“, „დინამო“ (თბ), „ჩიხურა“, „სიონი“, „დინამო“ (ბთ).

მეოთხედფინალური მატჩები გაისად, სავარაუდოდ 18 თებერვალს და 6 მარტს გაიმართება.

## ჭაბუკთა ლიგა

**89 წლიანები**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 14 | 13 | 1 | 0 | 64-9 | 40 |
| ოლიმპი | 14 | 11 | 2 | 1 | 25-7 | 35 |
| ამერი | 14 | 9 | 0 | 5 | 36-22 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 8 | 2 | 4 | 30-12 | 26 |
| ლოკომოტივი | 14 | 7 | 5 | 2 | 31-9 | 26 |
| ცხინვალი | 14 | 8 | 1 | 5 | 30-26 | 25 |
| მერანი | 14 | 8 | 0 | 6 | 25-17 | 24 |
| ტორპედო | 14 | 6 | 4 | 4 | 20-17 | 22 |
| ზესტაფონი | 14 | 6 | 2 | 6 | 31-23 | 20 |
| დინამო (ბთ) | 14 | 5 | 3 | 6 | 25-29 | 18 |
| ბორჯომი | 14 | 5 | 0 | 9 | 24-31 | 15 |
| ჩიხურა | 14 | 3 | 1 | 10 | 14-30 | 10 |
| კახეთი | 14 | 3 | 0 | 11 | 20-53 | 9 |
| სიონი | 14 | 2 | 0 | 12 | 18-56 | 6 |
| დილა | 14 | 0 | 1 | 13 | 5-57 | 1 |

## საფეხბურთო ვიქტორინა

**1. ვინ ჩაატარა ყველაზე მეტი მატჩი თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში სსრ კავშირის ჩემპიონატებში?**

ა — გიორგი ანთაძემ
ბ — ვლადიმერ ბარქაიამ
გ — ვლადიმერ გუცაევმა

**2. როდის დაეუფლა თბილისის „დინამო“ პირველად სსრ კავშირის თასს?**

ა — 1976 წელს
ბ — 1978 წელს
გ — 1979 წელს

**3. ვინ წვრთნიდა თბილისის „დინამოს“ 1953-1954 წლებში?**

ა — ანდრო ჟორდანია
ბ — ბორის პაიჭაძე
გ — გაიოზ ჯეჯელავა

**4. დაასახელეთ 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები**

ა — შვეცია — საფრანგეთი
ბ — საფრანგეთი — ბრაზილია
გ — ბრაზილია — იტალია

**5. ვინ იყო მსოფლიო XI ჩემპიონატის ბომბარდირი?**

ა — რენსენბრინკი (ჰოლანდია)
ბ — კემპესი (არგენტინა),
გ — კუბილასი (პერუ)

**წინა ვიქტორინის პასუხები: 1 — გ, 2 — ბ, 3 — ა, 4 — ბ, 5 — გ.**

## ბავშვთა ფეხბურთი

## «კრწანისი» და «მერანი»

თბილისის კრწანისის ოლიმპიური მზადების ცენტრის (დირექტორი თ. მეშველიანი) ინიციატივით ამავე ცენტრის ხელოვნურ საფარიან მოედანზე ჩატარდა „კრწანისის“ ფეხბურთელის, ტრაგიკულად დაღუპული გიორგი გვენეტაძის ხსოვნის ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში 14 გუნდის მონაწილეობით.

უმცროსებში (1995-1996 წლიანები) „კრწანისმა“ (მწვრთ. მამუკა ჩუბინიძე) ფინალური მატჩი პენალტებით 9-6 მოუგეს ომც-ს (მწვრთ. კახა სხირტლაძე). დაწესებული ინდივიდუალური პრიზები წილად ხვდათ: მეკარის — ლუკა ჩხეიძეს, მცველის — სანდრო ავალიანს (ორივე — ომც), ნახევარმცველის — გ. გრიგალაშვილს („კავკასიონი“), გამთამაშებლის — გიორგი ალოევს („ბერმუხა“), პერსპექტიული ფეხბურთელის ი. ლიპარტელიანს („კრწანისი“), ნიჭიერი მოთამაშის — ლ. ხიჯაკაძეს („კავკასიონი“), ტექნიკური მოთამაშის — ნ. წოვწიაძეს (ომც),თავდამსხმელის — კ. ძუძუნაშვილს, საუკეთესო ფეხბურთელის — ნიკა ღვინიაშვილს (ორივე — „კრწანისი“). 1990-1991 წლიანებში „მერანმა“ (კლუბის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი, დირექტორი გენადი ქიქავა, მწვრთნელი ბაგრატ მიქაძე) 8-5 მოუგო „კრწანისს“ (სკოლის დირექტორი თ. მეშველიანი, მწვრთნ. მ. ჩუბინიძე). მესამე ადგილზე გავიდა „ნორიო“ (მწვრთნელი გია პაპინაშვილი).

საუკეთესოებს გადაეცათ პრიზები. მეკარის — შავლეგ გურაშვილს („მერანი“), მცველის — ილია ცოფურიშვილს („ნორიო“), ნახევარმცველის — ანრი ოდიშარიას („ლოკომოტივი“), თავდამსხმელის — დათო აბრამიშვილს („ნორიო“), ნიჭიერი მოთამაშის — ო. ბარსეგოვს, ტექნიკური ფეხბურთელის დ. ოდიკაძეს (ორივე — „კრწანისი“), საუკეთესო მოთამაშის — ბ. შაკიაშვილს („მერანი“). რჩეულებს პრიზები გ. გვენეტაძის ძმამ გადასცა.

„კრწანისი“





„მერანი“

# სპორტის აკადემია

№ 8 (36)
დეკემბერი
2006 წ.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის გამოცემა


## წინ, განახლების გზით...

**2006 წლის ნოემბერი სისხლსავსე ცხოვრებით განვლო აკადემიამ. იყო სწრაფვა სიახლეების დასანერგად, აკადემიას ესტუმრა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც დალოცა საამაყო ტრადიციების უმაღლესი სასწავლებელი. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით უწმინდესს და უნეტარესს მიენიჭა აკადემიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იყო შეხვედრა აკადემიის ღვაწლმოსილ პროფესორ-მასწავლებლებთან, ჩატარდა რექტორის და აკადემიის სპიკერის, თვითმართველობის, ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთა და ა.შ. არჩევნები, კიდევ უფრო გალამაზდა და სხივნათელი გახდა სასწავლებლის აუდიტორიები და დერეფნები, განმტკიცდა დისციპლინა, რექტორის ყოველდღიურ კონტროლზეა აკადემიურ მეცადინეობებზე სტუდენტების დასწრება, სხვა ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სწავლის თუ სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებასთან, აღებული კურსით სვლა გრძელდება!**

## ვეტერან პედაგოგებთან შეხვედრიდან:

**ომარ გოგიაშვილი (პროფესორი):** „ბევრი შეხვედრის მოწმე ვყოფილვარ, ვყოფილვარ მონაწილეც და ორგანიზატორიც, მაგრამ ასეთი ხასიათის შეხვედრა არასდროს მინახავს. ეს განსაკუთრებული შემთხვევაა დღევანდელობის ფონზე. რაც ჩვენ აკადემიაში ხდება უპრეცედენტოა. მადლობა რექტორს ჯემალ გუგუშვილს".

**დურმიშხან ჩიტაშვილი (პროფესორი):** „დღევანდელი დღე მინდა გამოვიყენო კიდევ ერთი მადლობისთვის. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი შეხვედრები. ესაა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ერთად ყოფნის ზეიმი. თქვენ, ახალგაზრდები, უნდა გახდეთ ამ ღვაწლმოსილი ადამიანების ღირსეული მემკვიდრეები."

**აკაკი დოკვაძე (პროფესორი):** „თქვენ მოგესალმებათ 91 წლის კაცი, 1938 წელს ამ უმაღლესი სასწავლებლის პირველი მიღების I კურსის ყოფილი სტუდენტი. მადლობა ყველას ჩვენი ღვაწლის დაფასებისთვის".

**ჯემალ ძაგანია (პროფესორი):** „საზეიმო ორკვირეული გრძელდება. 27 ოქტომბერს მივიღეთ აკრედიტაცია, 1 ნოემბერს რექტორი ავირჩიეთ, 8 ნოემბერს, ილია მართლის ხსენების დღეს ჩვენს აკადემიას ეწვია სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რიტუალები გრძელდება — დღეს პატივს მივაგებთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებლის ყველაზე გამორჩეულ ადამიანებს, დღეს უკვე ვეტერანებს, რომელთა შორის არის რეკორდსმენიც — ბატონმა ჰამლეტ ათაბეგოვმა 60 წელიწადი დაჰყო ამ სასწავლებელში, ლარისა ბერიევამ — 59, ირინა ნოსკოვამ — 50. მადლობა მათ გაწეული ღვაწლისათვის".

## პატრიარქის სტუმრობა აკადემიაში

მისალმება



უწმინდესო და უნეტარესო, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქო, დიდო მეუფეო, დღეს უბედნიერესი დღეა, წმინდა ილია მართლის დაბადების დღეს ჩვენთან, უდიდესი ტრადიციების მქონე უმაღლეს სასწავლებელში, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში, თქვენ მობრძანდით.

უწმინდესო და უნეტარესო, თქვენ მოგესალმებათ აკადემიის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები, ქართული სპორტის უდიდესი წარმომადგენლები და, რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, ჩვენი იმედი, ჩვენი სიამაყე, ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა.

უწმინდესო და უნეტარესო, დიდო მეუფეო, თქვენი სახელი ილია ძალი ღვთისას, ციხე-სიმაგრეს, ღვთის ციხე-სიმაგრეს ნიშნავს. დიახ, უწმინდესობავ, თქვენ ქართული ეკლესიის, ჩვენი რწმენის, ქართული მართლმადიდებლური სამყაროს ღვთის ძალა, ციხე-სიმაგრე ბრძანდებით, გიორგი მერჩულისა არ იყოს: „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი". ისევ დიდ ჰაგიოგრაფ გიორგი მერჩულეს დავესესხები. იგი არსენ კათალიკოსზე წერს: „არსენი კათალიკოსი ნებითა ღმრთისაითა კათალიკოსი არს", ან „ღმერთსა ებრძანა კათალიკოსობაი არსენისი სისრულისა მისისათჳს". ეს სიტყვები ყოველ მართლმადიდებელ ქართველს შეუძლია გაიმეოროს. სრულყოფილებისათვის ინება უფალმა თქვენი კათალიკოსობა. თქვენი კათალიკოსობა ქართული მართლმადიდებლობისათვის ღვთის უდიდესი საჩუქარია. აღმშენებელი, განმანათლებელი, იმედისა და რწმენის მომცემი, ძლიერი და დიდებული, ეკლესიის სიმტკიცე ბრძანდებით, დიდო მეუფეო.

მოვა დრო, როდესაც თქვენს, ჯერჯერობით მხოლოდ ორტომეულს, ეპისტოლეებს, სიტყვებს, ქადაგებებს, „სიბრძნით განსაზღვრებულებსა და მეცნიერებით გაბრწყინვებულებს" პავლეს ეპისტოლეებივით შეისწავლის მართლმადიდებლური სამყარო.

უწმინდესო და უნეტარესო, 2004 წელს თქვენგან დალოცვილმა სპორტსმენებმა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე 2 ოქროსა და 2 ვერცხლის მედლით გაახარეს ღვთის სიყვარულით სავსე ქართველთა გულები. ელადის მიწიდან ოქროს საწმისის სანაცვლოდ ჩვენმა მზეჭაბუკებმა ღვთის წყალობით ოქროს მედლებით დაიბრუნეს ქართული დიდება.

უწმინდესო და უნეტარესო, თექვსმეტიოდე წლის წინ სწორედ ჩვენი აკადემიის სტუდენტობამ აღადგინა ქვემო ბეთლემის ეკლესია. ჩვენი აკადემიის ახალგაზრდები თითქმის ყოველ ზაფხულს ილვწიან სამხრეთ საქართველოს ეკლესიების აღსადგენად.

რა ხდება დღეს?

ჩვენმა ახალგაზრდობამ, პროფესორ-მასწავლებლებმა შეაგროვეს სასწავლო ნივთები, სახელმძღვანელოები, მხატვრული თუ ისტორიული ლიტერატურა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებისათვის, მაგრამ ამჟამად ზემო აფხაზეთის, დიახ, ზემო აფხაზეთის სკოლებისათვის! საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად ზემო აფხაზეთში თქვენც ბრძანდებოდით. ეს, კი ჩვენთვის უდიდესი ძალაა.

ბევრმა ჯერჯერობით ვერ მოახერხა, მონაწილეობა მიეღო ამ საქველმოქმედო აქციაში, მაგრამ „მეათერთმეტჱ მოქმედი ვენაკ ისაისა" არ იყოს, არასოდეს არ არის გვიან ღვთის სამსახურში ჩადგომა. ამიტომ ჩვენ ყოველთვის, ყოველ სასწავლო წელს, მათ გვერდით ვიქნებით. ჩვენ მივესალმებით ზემო აფხაზეთის იმ 334 ქართველ ბიჭუნასა და გოგონას, იმ 74 გმირ მასწავლებელს, რომლებიც სამ საშუალოსა და ექვს დაწყებით სკოლაში სწავლობენ და ასწავლიან.

ჩვენ არ დავივიწყებთ არც სამაჩაბლოსა და არც ისტორიული ჰერეთის, საინგილოს, ქართულ სკოლებს. ჩვენ ვიცით მეათე საუკუნის ცნობილი მწერლისა და მოაზროვნის სიტყვები: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".

საქართველო მე-19 და მე-20 საუკუნეებში ორ დიდ ილიას იცნობს: ილია მართალსა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს. თქვენი და ილია მართლის ანგელოზის დღე 2 აგვისტოა. ეს კი ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა.

დიდო მეუფეო, დღეს ჩვენთან თქვენი მობრძანებით ღვთის ძალა მოაბრძანეთ ჩვენს სასწავლებელში, იმ სასწავლებელში, რომელსაც მალე დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდება.

უწმინდესო და უნეტარესო, 29 წელია, ქართული ეკლესიის მმართებელი ბრძანდებით. 29 წელია, იმედის თვალით შემოგყურებთ მთელი საქართველო. დღეს ყველაზე მეტად სწორედ ჩვენს ახალგაზრდობას სჭირდება თქვენი სიტყვები: „რაც არ უნდა გაგიჭირდეთ, ლუკმა-პურისათვის უცხოეთში არ წახვიდეთო!"

მე კი გავბედავ და გეტყვით: „წმინდაო ღმრთისაო, სამოთხისა სიკეთესა მომლოდებელო, სიმართლისათჳს მშიერო და წყურიელო, და ტკბილსა მას საზრდელსა ქუეყანასა მოუკლებელსა ღირსმქმნულო, მოწყალეო გლახაკთაო, განუშორებელ არს შენგან მარადის წყალობაი ღმრთისაი". (გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება")

უწმინდესო და უნეტარესო, დაგვლოცე, დაგვილოცე ახალგაზრდობა!

**მედეა როგავა,**
**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია**
**2006 წლის 8 ნოემბერი.**

## შემოვიღოთ სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალობა

სპორტის შემსწავლელ მეცნიერებათა შორის ფსიქოლოგიას განსაკუთრებული ადგილი უკავია. დასტურად, ვფიქრობთ, შემდეგი არგუმენტებიც საკმარისი იქნება:

1. სპორტული ქცევის სრულყოფილი, მეცნიერული შესწავლა სპორტსმენის პიროვნების თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, ყოვლად გაუმართლებელია. იგი სპორტულ საქმიანობაზე უარყოფითად აისახება;

2. შეჯიბრებისათვის მზადების (წვრთნის) პროცესი მიზნად ისახავს გარკვეულ ამოცანების და მიზნების ერთმანეთისაგან განსხვავებული მოქმედებების (ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, თეორიული და ფსიქოლოგიური მომზადების) განხორციელებას. ამდენად, სპორტსმენის შეჯიბრებისათვის წარმატებით მომზადებაში მნიშვნელოვანი როლი, მწვრთნელთან ერთად, სპორტის ფსიქოლოგსაც ეკისრება;

3. შეჯიბრება სპორტის არსებითი ნიშანია, იგი სპორტსმენის ისეთი ქცევაა, რომელიც მიზნად ისახავს წვრთნის პროცესში გამომუშავებული და განვითარებული სპორტული შესაძლებლობების, მეტოქესთან პაექრობის პირობებში წარმატების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რაც სპორტულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოვლენის გზით მიიღწევა. ამდენად, სპორტული შეჯიბრების თავისებურებების, მისი სტრუქტურის დადგენა ფსიქოლოგის უშუალო პრეროგატივაა;

4. სპორტის იმ სახეობებში, სადაც გუნდური პირველობები თამაშდება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივის ფაქტორს, რაც შეჯიბრების პროცესში წარმატების დამატებითი ბერკეტის როლს ასრულებს. ერთ მუჭად შეკრული, მეგობრული სპორტული კოლექტივის ფორმირება მწვრთნელისგან მოითხოვს კოლექტივის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების — მიკრო სოციალური ჯგუფების, მათ შორის ურთიერთობების, ინტეგრაცია-დიფერენციაციის, შეთავსებადობის, ლიდერობის და ა.შ. საკითხების ცოდნას;

☞

## როცა მიზანი სიძნელეებზე მეტია

**ამ ახალგაზრდამ, აკადემიის წარჩინებულმა მაგისტრანტმა ლაშა ხაჭაპურიძემ, უძნელეს პირობებში დაამტკიცა, რომ წარმატების მიღწევა ყოველთვის შესაძლებელია, როცა მიზანს პრინციპულად დაისახავ და უკან არაფერზე დაიხევ. არც დაუხევია — მწირი ფინანსებით გაემგზავრა შვედეთში კარატეში ევროპის ჩემპიონატზე. იქ, ქალაქ გიეტებორგში კი, მაშინ, როცა ასპარეზობის სხვა მონაწილეები ფეშენებელურ სასტუმროებში ნებივრობდნენ, ლაშა საასპარეზო ტატამზე ათევდა ღამეებს. ეს უპრეცედენტო შემთხვევა არც ტურნირის ორგანიზატორებს და მასპინძლებს გამორჩენიათ მხედველობიდან. მაგრამ, რაც მთავარია, ქართველ ათლეტს, ერთადერთ წარმომადგენელს საქართველოდან, გაუმართლა — ჩემპიონატის მთავარ ჯილდოს, დიდ მოვერცხლილ თასს დაეუფლა. ამ ასპარეზობამდე ლაშა ორჯერ (2003-2004 წლებში) იყო ევროპის ვიცე-ჩემპიონი 70 კგ-მდე წონით კატეგორიაში, მოგებული აქვს აგრეთვე დიდი საერთაშორისო ტურნირი ასტანაში.**

**შინდაბრუნებული ლაშა ხაჭაპურიძე მისმა მწვრთნელმა, აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ირაკლი დოლაბერიძემ სასწავლებლის რექტორს, პროფესორ ჯემალ გუგუშვილს წარუდგინა. რექტორმა გულწრფელად მიულოცა წარმატება სპორტსმენს, შეუქო ვაჟკაცობა და უსურვა მომავალი წარმატებები.**



## მილოცვა

აკადემიის, მხიარულთა და საზრიანთა გუნდ „ვიკინგებს" ვულოცავთ, სამედიცინო უნივერსიტეტის ღია ჩემპიონატზე მან-სან-კანში, ფინალში გასვლას და ვუსურვებთ წარმატებებს. ფინალი გაიმართება ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც ჩვენი მეტოქეები იქნებიან, თბილისის გუნდი „ტაში" და ბათუმის „რეზერვისტები". ერთად ვუქომაგოთ ჩვენს გუნდს, მათ ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება!

**სპორტის აკადემიის**
**სტუდენტური თვითმმართველობა.**



## შევქმნათ სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალობა

5. სპორტში; განსაკუთრებით შეჯიბრებაში, მრავალი ობიექტური, უფრო მეტად კი სუბიექტური ფაქტორია ჩართული, რომელთაგანაც ზოგი ხელს უწყობს სპორტსმენის წარმატებას, ზოგიც — ხელს უშლის მას. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემაფერხებელი მიზეზების დროულად გამოვლენას და მათი აღმოფხვრის ღონისძიების ასახვას, რაც ამ ფაქტორების დარეგულირების შესაძლებლობას მოგვცემს. მისი ფსიქოლოგიური ბუნების სირთულე სპეციალურ მუშაობას მოითხოვს, რამაც შეჯიბრებისათვის სპორტსმენის მომზადების ახალი სახის — ფსიქოლოგიური მომზადების შემოტანის აუცილებლობა განაპირობა.

სპორტის ფსიქოლოგს, რომელსაც გააჩნია, საუნივერსიტეტო ფსიქოლოგიური განათლება, იცნობს სპორტის ფსიქოლოგიას და ღრმად ერკვევა სპორტის, როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის პრობლემებში, შეუძლია ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს მწვრთნელს.

სწორედ ამიტომ, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში უდიდესი ყურადღება ექცევა სპორტის ფსიქოლოგთა პროფესიული კადრების მომზადებას, რომელთაც შემდეგ შეუძლიათ მუშაობა არა მარტო სპორტულ კოლექტივებთან, არამედ ცალკეულ სპორტსმენთანაც, ინდივიდუალურად. ადრე სპორტის ფსიქოლოგთა მომზადების ბაზას ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრა წარმოადგენდა, ასპირანტურაში, კვოტის ფარგლებში, მზადდებოდნენ სპორტის ფსიქოლოგები. ამჟამად ასე არ არის, რაც უდიდეს ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ხარვეზის აღმოფხვრა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქართული სპორტის ჯერ კიდევ არარეალიზებული უდიდესი პოტენციის გამოვლენას.

ჩვენი თვალსაზრისით, სპორტის ფსიქოლოგთა მომავალი სპეციალისტების მომზადების ნორმალური პირობები მხოლოდ სპორტის აკადემიას გააჩნია. როგორც აღვნიშნეთ, სპორტის ფსიქოლოგი უნდა ფლობდეს სპეციალურ ფსიქოლოგიურ განათლებას და ძირფესვიანად იცნობდეს სპორტის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სპორტის აკადემიაში მწვრთნელთა ფაკულტეტთან უნდა შეიქმნას სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალობა. გამოცხადდეს მიღება (მინიმუმ ათი ადგილი, ერთი ჯგუფი). სასურველია, სპორტულმა ფედერაციებმა სურვილისამებრ შეარჩიონ (სწავლის ხარჯის გაღებით) თითო კანდიდატი ხსენებული ფაკულტეტისთვის. შესაძლებელია აგრეთვე სპორტულ ფსიქოლოგიასთან ერთად სტუდენტი დაეუფლოს მწვრთნელის პროფესიასაც, რათა შემდგომში დასაქმების მეტი შანსი მიეცეს.

სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად აკადემიის პედაგოგიურ კადრებთან ერთად მოწვეულ უნდა იქნან ფსიქოლოგიური მეცნიერების ცნობილი სპეციალისტები.

**პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრა.**

## რა არის კოლოკვიუმი?

„უცხო სიტყვათა ლექსიკონში" კოლოკვიუმი ასეა განმარტებული: **კოლოკვიმ-ი** (ლათ. Colloquium გასაუბრება) — 1. გამოცდის სახეობა ერთგვარი — მასწავლებლის გასაუბრება სტუდენტებთან. 2. კრება, სადაც ისმენენ და განიხილავენ სამეცნიერო მოხსენებებს.

წიგნის თარო

## ტიტანური შრომის შედეგი

**აკადემიაში ბოლო ხანებში არაერთი სიახლე დაინერგა. ტრადიციების სიახლით შევსება — გალამაზება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს და უფრო სისხლსავსე ატმოსფეროს ქმნის. ახლა აკადემიაში კიდევ ერთ ნოვაციას — აქაურ პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების პრეზენტაცია — განხილვას ჩაეყარა საფუძველი. თვით ამ სიახლის პრეზენტაციად იქცა აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის შოთა ფაფიაშვილის მეტად საყურადღებო ორი ნაშრომის განხილვა.**






იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველს, პროფესორ შ. ფაფიაშვილს, როგორც მეცნიერს და იურისტთა კადრების აღმზრდელს, კარგად იცნობენ ამ სფეროში მოღვაწე ადამიანები. მის შრომებზე იზრდებიან მომავალი იურისტები, მისი წიგნები უდევთ მაგიდაზე გამომძიებლებს, პროკურორებს, მოსამართლეებს, იუსტიციის მუშაკებს, იურისპრუდენციით დაინტერესებულ სხვა დარგის სპეციალისტებს.

და აი, შ. ფაფიაშვილის უამრავ, კერძოდ, 150-ზე მეტ ნაშრომს შეემატა კიდევ ორი სახელმძღვანელო. ესაა „კრიმინალისტიკა" (III ტომი) და „შესავალი იურიდიულ სპეციალობაში". სწორედ ამ წიგნების განხილვა მოეწყო ამ დღეებში ჩვენი აკადემიის სააქტო დარბაზში. განხილვაში მონაწილეობდნენ, როგორც აკადემიის პროფესრორ მასწავლებლები, ისე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები.

„1954 წელს დავამთავრე სკოლა და უმალვე საბუთები შევიტანე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. რუსულ წერაში მაღალი ნიშანი ვერ მივიღე უსაშველოდ დიდი იყო კონკურსი. გადავწყვიტე საბუთების სასწრაფოდ გატანა. მოჭიდავე ვიყავი და ფიზკულტურის ინსტიტუტში შევიტანდი. მდივანმა არ დამანება. რას ამბობ, ხუთიანი ერთმა მიიღო, ოთხიანი — რამდენიმემ, არსადაც არ წახვალ ბოლომდე იბრძოლეო — მითხრა. დავუჯერე, სხვა საგნები ბრწყინვალედ ჩავაბარე და ჩავირიცხე. ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს მაინც მოვხვდი სპორტის აკადემიის კედლებში, როგორც ლექტორი" — გვითხრა ბატონმა შოთამ.

დავძენთ, რომ „კრიმინალისტიკის" სახელმძღვანელოც ორი რეცენზენტი ჰყავს და აქედან ერთი წარსულში ჩვენი სახელოვანი ძიუდოისტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების გენერალმაიორი, პროფესორი შენგელი ფიცხელაურია. მეორე რეცენზენტი გახლავთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ კობახიძე. რედაქტორია, საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი, სამართლის დოქტორი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ჯამლეთ ბაბილაშვილი. შ. ფაფიაშვილის „შესავალი იურიდიულ სპეციალობაში" რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ უმაღლესი იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებისათვის საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის იურიდიული დისციპლინების კათედრისა და ამავე უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური საბჭოს მიერ.

„კრიმინალისტიკა" („დანაშაულთა გახსნის მეთოდიკა") — უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტების, შსს პოლიციის აკადემიისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის.

სახელმძღვანელოების განხილვაში მონაწილეობდნენ სპორტის აკადემიის რექტორი, პროფესორი ჯემალ გუგუშვილი, ამავე სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ავთანდილ ტუქვაძე, პროფესორები ჯამლეთ ბაბილაშვილი, ვალერი ლორია, შენგელი ფიცხელაური, დურმიშხან ჩიტაშვილი... გამომსვლელებმა მაღალი შეფასება მისცეს ორივე სახელმძღვანელოს. „ქართულ იურიდიულ გამოცემებს შეემატა ორი უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო, მეტად საჭირო სამაგიდო წიგნები, რისთვისაც ავტორს გაუწევია ტიტანური შრომა", — ასეთი იყო შემფასებელთა საერთო შთაბეჭდილება.

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**სპორტის აკადემიის ასოცირებული პროფესორი.**

## ჩვენც ვიბრძვით ნარკომანიის წინააღმდეგ

ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა დღეს ყველას კარგად ესმის. ამ პროცესში თავის სიტყვას ამბობს საქართველოს სპორტის აკადემია, რომელმაც მჭიდრო კავშირი დაამყარა ასოციაცია „ნარკონოლთან". ერთობლივი პროგრამის ფარგლებში ამ დღეებში აკადემიას ეწვია ხსენებული ასოციაციის პრეზიდენტი ქალბატონი ტატიანა ჯიბლაძე და ასოციაციის წევრი ლალი შეროზია.

დიდი ინტერესი გამოიწვია ცალ-ცალკე სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან მათ მიერ წაკითხულმა ლექციამ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობასა და გააქტიურების შესახებ. ამასთან, სტუდენტებთან ჩაატარეს ტესტირება. სტუმრებმა უპასუხეს შეკითხვებზე და კმაყოფილნი დარჩნენ მსმენელთა აქტიურობით, ხაზგასმით აღნიშნეს, აკადემიის ჯანსაღი გარემო.

მასპინძლებმა გულწრფელი მადლობა გადაუხადეს სტუმრებს.

**ქეთევან ბუაძე,**
**უფროსი მასწავლებელი.**

## ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა


გრემი

ბოლო წლებში სპორტის აკადემიის სტუდენტი — ახალგაზრდობის ყურადღება საქართველოს ძირძველმა კუთხემ სამცხე-ჯავახეთმა მიიპყრო. ვაწყობდით საქველმოქმედო ღონისძიებებს, მაგრამ უკვე რამდენიმე წელიწადია ჩვენი ძალისხმევა ამ კუთხის ისტორიულ ძეგლებზე ზრუნვას დავუთმეთ, რის შესახებაც რამდენჯერმე ვწერდით კიდეც. სამუშაოები გაგრძელდება, ვიდრე არ დასრულდება ღვთისსადიდებელი საქმე, შემდეგ სხვა ისტორიულ ძეგლებსაც ვუპატრონებთ. მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღება იმ მოგზაურობაზე მინდა შევაჩერო, რომელშიც სწორედ, ის ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, რომლებმაც შრომით სემესტრში გამოიჩინეს თავი.

გეზი კახეთისაკენ ავიღეთ. მოგზაურობა ნეკრესით დაიწყო. ჯერ კიდევ VI საუკუნეში ღვთისმშობლის გამოცხადებით ივერიაში იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე ჩამობრძანდნენ რწმენის განსამტკიცებლად. ნეკრესი სწორედ ის ადგილია, სადაც ერთ-ერთი მათგანი, აბიბოს ნეკრესელი მოღვაწეობდა. იგი წინ აღუდგა ძალით ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას ნეკრესში და მოწამეობრივად აღესრულა. კიდევ ორი მოწაფის მოღვაწეობის ადგილს ვესტუმრეთ. იქ მათი მოღვაწეობის და ლოცვის მადლი დღესაც იგრძნობა, და თან მოგყვება მნახველს. ჯერ, მეფეთა ადგილსამყოფელს, გრემის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარს ვესტუმრეთ, შემდეგ მეორე ასურელი მამის იოსებ ალავერდელის მოღვაწეობის ადგილი მოვინახულეთ. მართლაც რომ საოცრებაა ალავერდის ტაძარი ადგილმდებარეობით, ფონით, კავკასიონის თოვლიანი ქედით, სიმაღლით, პროპორციებით და სიწმინდეებით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იქ განისვენებს საქართველოს მნათობის, კახეთის დედოფლის, ქეთევანის წმინდა ნაწილები. ჩვენ მუხლი მოვიყარეთ მისი წმინდა ნაწილების და გმირობის წინაშე. ღამე იქვე გავათიეთ.

მეორე დღე თეთრი გიორგის ტაძრის, როგორც მას ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს, მონახულებით დავიწყეთ. იქიდან იყალთოს სამონასტრო კომპლექსში გადავინაცვლეთ და მესამე ღირსი მამის ზენონ იყალთოელის საფლავი მოვილოცეთ. იმის გარდა, რომ იქ არის სამების, ღვთაების ანუ ფერისცვალების და ყველაწმიდის ეკლესიები, შუა საუკუნეებში იყალთო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი ყოფილა, სადაც გელათიდან გადმოსულმა არსენ იყალთოელმა, იყალთოს აკადემია დაარსა.


ალავერდი

გადმოცემით შოთა რუსთაველი სწორედ აქ სწავლობდა.

გზა ულამაზეს ტყისკენ გაგრძელდა, შემდეგ ძველ შუამთას VI-IX საუკუნეების ქმნილებას მივაშურეთ და დადებითი ემოციებით დატვირთულნი დასასვენებლად წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის კარმიდამოში წამოვედით. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. აი, თურმე როგორ და რარიგად ისვენებდნენ ჩვენი დიდგვაროვნები. აქ მრავლადაა უცხოური ჯიშის ნაძვები, უდიდესი ბზები, სხვადასხვა სახის მცენარეები და დეკორაციები...

მოგზაურობაც გურჯაანის ღვთისმშობლის სახელობის, როგორც მას უწოდებენ „ყველაწმიდის" VII-VIII საუკუნეების ორგუმბათოვანი ტაძრის მონახულებით დავასრულეთ. ტაძარი უნიკალურია და მსოფლიოში გამორჩეული ყოფილა თავისი არქიტექტურით. გადმოცემით, წმიდა ქეთევან დედოფალს სპარსეთში წასვლის წინ, სწორედ, აქ, ულოცია.

სტუდენტი — ახალგაზრდობა დიდი მადლობელი ვართ აკადემიის ხელმძღვანელობის ამგვარ ღონისძიებებში ხელშეწყობისთვის.

**მამუკა მაღლაკელიძე.**


წინანდალი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## შაბათ — კვირას...

**გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურის შეხვედრები. ინგლისის პრემიერლიგის** მე-16 ტურში „არსენალმა“ საკუთარ მოედანზე 3-0 დაამარცხა „ტოტენჰემი“. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ადებაიორმა და ჟილბერტუ სილვამ (2).

**„არსენალი“:** ლემანი, კლიში, ჯურუ, ებუე, კოლო ტურე, ჟილბერტუ სილვა, ფაბრეგასი, იუნგბერგი, როსიცკი (გლები, 55), ვან პერსი (ბაპტისტა, 80), ადებაიორი (უილკოტი, 87).

„ლივერპულმა“, როგორც იქნა, გასვლით შეხვედრაში იასპარეზა წარმატებით — „უიგანი“ გაანადგურა 4-0. ბურთები გაიტანეს ბელამმა (2) და კიუიტმა. ერთი ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა მაკულიჩმა.

**„ლივერპული“:** რეინა, ფინანი, აგერი, ჰიუიპია (პალეტა, 61), კარაგერი, რიისე, ჯერარდი (გიუტრი, 79), ხავი ალონსო, ლუის გარსია (ვენანტი, 53), კიუიტი, ბელამი.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ სტუმრად 2-1 სძლია „მიდლსბროს“. სტუმრები საას მიერ „მიდლსბროს“ კარის მიერ ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანით დაწინაურდნენ.

66-ე წუთზე მორისონმა წონასწორობა აღადგინა. ორ წუთში კი ფლეტჩერმა გაიტანა მეორე და გადამწყვეტი ბურთი მასპინძელთა კარში.

**„მანჩესტერ იუნაიტედი“** ვან დერ საარი, ნევილი, ფერდინანდი, ჰაინცე, ვიდიჩი, ფლეტჩერი (ოში, 72), კრისტიან რონალდუ (ბრაუნი, 86), სქოულზი, გიგზი, რუნი, საა.

**სხვა შეხვედრები:** „ევერტონი“ — „ვესტ ჰემი“ 2-0, „შეფილდი“ — „ჩარლტონი“ 2-1, „რედინგი“ — „ბოლტონი“ 1-0, „პორტსმუთი“ — „ასტონ ვილა“ 2-2, „ბლექბერნი“ — „ფულემი“ 2-0.





**სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მანჩესტ.იუნ.“ | 16 | 13 | 2 | 1 | 35-8 | 41 |
| „ჩელსი“ | 15 | 11 | 2 | 2 | 25-8 | 35 |
| „არსენალი“ | 15 | 7 | 4 | 4 | 25-12 | 25 |
| „პორტსმუთი“ | 16 | 7 | 4 | 5 | 21-14 | 25 |
| „ლივერპული“ | 16 | 7 | 4 | 5 | 19-15 | 25 |

**გერმანიის ბუნდესლიგის** მე-15 ტურში ლევან კობიაშვილის „შალკე“ სტუმრად ფრეს (0-0) დასჯერდა „ნიურნბერგთან“ შეხვედრაში.

**„შალკე“:** ნოიერი, მარჩელო, ფერეირა, კრსტაიჩი, პანდერი, ჰამით ალთინთოფი (ვარელა, 58), ერნსტი, კობიაშვილი, ჰალილ ალთინთოფი (ლინკოლნი, 68), კურანი, ლევენკრანდსი (ლარსენი, 75).

ვერ მოიგო „ბაიერნმაც“, რომელმაც საკუთარ მოედანზე ვერაფერი მოუხერხა „მიონხენგლადბახს“ — 1-1. ანგარიში დემიკელისმა გახსნა 23-ე წუთზე, 10 წუთში დელიურამ წონასწორობა აღადგინა. მეორე ტაიმში ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ მეტი ბურთი აღარ გასულა.

**„ბაიერნი“:** კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ვან ბომელი, დემიკელისი (დაისლერი, 46), შვაინშტაიგერი, სალიჰამიჯიჩი (სანტა კრუსი, 70), პისარო, მაკაი.

ბრემენის „ვერდერმა“ 3-1 სძლია „ჰერტას“. გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს დიეგომ და კლოზემ (2).

**„ვერდერი“:** ვიზე, ფრიც ნალდო, მერტეზაკერი, ვომე, იენსენი (ჰუნტი, 69), ფრინგსი, დიეგო, ბოროვსკი (ვრანიეში, 83), ალმეიდა (კლასნიჩი, 72), კლოზე.

„შტუტგარტი“ სტუმრად ფრეს დასჯერდა „მაინცთან“ შეხვედრაში — 0-0.

**სხვა შეხვედრები:** „დორტმუნდი“ — „ვოლფსბურგი“ 1-0, „არმინია“ — „ლევერკუზენი“ 0-0, „ბოხუმი“ — „ჰამბურგი“ 2-1, „კოტბუსი“ — „ჰანოვერი“ 0-1, „ალემანია“ — „აინტრახტი“ 2-3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვერდერი“ | 15 | 9 | 3 | 3 | 39-19 | 30 |
| „შალკე“ | 15 | 9 | 3 | 3 | 25-16 | 30 |
| „შტუტგარტი“ | 15 | 8 | 4 | 3 | 27-19 | 28 |
| „ბაიერნი“ | 15 | 8 | 3 | 4 | 24-18 | 27 |
| „ჰერტა“ | 15 | 6 | 6 | 3 | 26-22 | 29 |

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის** მე-13 ტურში მადრიდის „რეალი“ საკუთარ მოედანზე პირველი ტაიმის შემდეგ 0-1 აგებდა „ბილბაოსთან“, მაგრამ მეორე ნახევარში რონალდომ და რობერტო კარლოსმა გამარჯვება მოუტანეს სამეფო კლუბს — 2-1.

**„რეალი“:** კასილიასი, რობერტო კარლოსი, სერხიო რამოსი, მიჩელ სალგადო, მეხია, დიარა, ემერსონი (ბექჰემი, 46), რაული, რეიესი (რონალდო, 46), რობინიო, ვან ნისტელროი.

„ბარსელონამ“ ამჯერად ვერ მოიგო. კატალონიელები სტუმრად ფრეს დასჯერდნენ „ლევანტესთან“ შეხვედრაში. მართალია, თავიდან დეკუმ დააწინაურა „ბარსელონა“, მაგრამ მეორე ნახევარში ალვარომ წონასწორობა აღადგინა — 1-1.

**„ბარსელონა“:** ვალდესი, ბელეტი, სილვინიო (ძამბროტა, 71), ტურამი, პუიოლი, ედმილსონი, ინიესტა, დეკუ (ოლეგერი, 75), ჟიული (ესკუერო, 61), ხავი, გუდიონსენი.

„ვალენსიამ“ მოულოდნელად წააგო „უელვასთან“ 0-2. ვალენსიელთა კარში ბურთები გაიტანეს ტორნავაკამ და პონგოლმა.

**„ვალენსია“:** კანისარესი, ჩერაჩელა (ტავანო, 78), კურო ტირესი, ბარახა, აიალა, ნავარო (ვიანა, 45), ალბიოლი, ხოაკინი, დავიდ სილვა, ვისენტე, ანგულო.

**სხვა შეხვედრები:** „სოსიედადი“ — „ხეტაფე“ 0-0, „ვილიარეალი“ — „ხიმნასტიკი“ 2-0, „მალიორკა“ — „სელტა“ 2-2, „დეპორტივო“ — „რასინგი“ 0-0, „ესპანიოლი“ — „სევილია“ 2-1, „სარაგოსა“ — „ოსასუნა“ 1-2, „ბეტისი“ — „ატლეტიკო“ 0-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 13 | 9 | 3 | 1 | 32-11 | 30 |
| „რეალი“ | 13 | 9 | 2 | 2 | 24-9 | 29 |
| „სევილია“ | 13 | 9 | 1 | 3 | 26-13 | 28 |
| „ატლეტიკო“ | 13 | 7 | 3 | 3 | 18-9 | 24 |
| „სარაგოსა“ | 13 | 7 | 2 | 4 | 26-17 | 23 |

**იტალიის სერია „ა“-ს** მე-14 ტურში კახი კალაძის „მილანმა“ ვერ მოახერხა სტუმრად „კალიარის“ დამარცხება.

პირველმა ნახევარმა უგოლოდ ჩაიარა. მეორე ნახევრის დაწყებიდან სამი წუთიც არ იყო გასული, როცა ჯილარდინომ გახსნა ანგარიში. 5 წუთში „მილანის“ კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა და სუარომ წონასწორობა აღადგინა. 65-ე წუთზე კაპონემ „კალიარი“ დააწინაურა, 5 წუთში კი ბორიელომ წაგებას გადაარჩინა „მილანი“ — 2-2.

**„მილანი“:** დიდა, ბონერა, კალაძე, მალდინი, ბროკი (ინძაგი, 68), კაკა, იანკულოვსკი, პირლო, გურკიუფი, ზეედორფი, ჯილარდინო (შიმიჩი, 76), ოლივეირა (ბორიელო, 76).

„ინტერმა“ 2-0 სძლია „სიენას“. ბურთები ბურდისომ და კრესპომ გაიტანეს. 50-ე წუთზე ფრიკმა ვერ გამოიყენა მილანელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი.

**„ინტერი“:** სეზარი, ბურდისო, გროსო (სამუელი, 58), მაიკონი, მატერაცი, ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი (მაქსველი, 87), ვიეირა, კრესპო (ფიგუ, 79), იბრაჰიმოვიჩი.

„რომამ“ 2-1 მოუგო „ატალანტას“. საინტერესოა, რომ თავდაპირველად „ატალანტას“ ფეხბურთელები დაწინაურდნენ ძამპანის მიერ მე-10 წუთზე გატანილი ბურთის წყალობით, მაგრამ მეორე ნახევარში ფრანჩესკო ტოტიმ „დუბლი“ შეასრულა და გამარჯვება მოუტანა „რომას“.

**„რომა“:** დონი, კასეტი, კივუ, მექსე, პანუჩი (ტონეტო, 55), დე როსი, მანსინი (ვუჩინიჩი, 88), მონტელა (პეროტა, 46), პისარო, ტადეი, ტოტი.

**სხვა შეხვედრები:** „ტირანო“ — „ემპოლი“ 1-0, „პარმა“ — „პალერმო“ 0-0, „ლივორნო“ — „კიევო“ 0-2, „ფიორენტინა“ — „ლაციო“ 1-0, „მესინა“ — „სამპდორია“ 0-2, „უდინეზე“ — „რეჯინა“ 1-1, „ასკოლი“ — „კატანია“ 2-2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ინტერი“ | 14 | 11 | 3 | 0 | 29-14 | 36 |
| „რომა“ | 14 | 10 | 2 | 2 | 32-11 | 32 |
| „პალერმო“ | 14 | 9 | 1 | 4 | 27-18 | 28 |
| „ლივორნო“ | 14 | 5 | 5 | 4 | 15-15 | 20 |
| „კატანია“ | 14 | 5 | 5 | 4 | 20-26 | 20 |

**საფრანგეთის ჩემპიონატის** მორიგ ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა „ლიონმა“ სტუმრად მინიმალური ანგარიშით 1-0 დაამარცხა „ლემანი“. ეს ერთადერთი ბურთი ვილტორმა გაიტანა 57-ე წუთზე.

**„ლიონი“:** კუპე, აბიდალი, კლერი, კრისი, სკილაჩი, მალუდა, ჟუნინიო, პერნამბუკანუ, ტიაგუ, ტულალანი (ჩელსტრემი, 82), ვილტორი (დიარა, 75), კარიუ (გოვუ, 56).

**სხვა შეხვედრები:** პსჟ — „ტულუზა“ (გადაიდო), „სოშო“ — „მარსელი“ 1-0, „ნანსი“ — „ლილი“ 1-3, „სედანი“ — „ტრუა“ 1-2, „სტ. ეტიენი“ — „ლორიანი“ 2-0, „რენი“ — „ნანტი“ 2-0, „მონაკო“ — „ვალანსიენი“ 3-0, „ლანსი“ „ბორდო“ 3-0, „ოსერი“ — „ნიცა“ 0-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლიონი“ | 16 | 14 | 1 | 1 | 32-10 | 43 |
| „ლანსი“ | 16 | 8 | 5 | 3 | 25-15 | 29 |
| „სოშო“ | 16 | 8 | 5 | 3 | 21-16 | 29 |
| „ლილი“ | 16 | 8 | 5 | 3 | 24-14 | 29 |
| „სტ ეტიენი“ | 16 | 8 | 3 | 5 | 25-19 | 27 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატის** მორიგ ტურში შოთა არველაძის „ალკმაარმა“ საკუთარ მოედანზე „მიწასთან გაასწორა“ „ექსელსიორი“ — 5-0. ორი ბურთი ქართველმა ფორვარდმა გაიტანა.

**სხვა შეხვედრები:** „აიაქსი“ — „ტილბურგი“ 6-0, „უტრეხტი“ — „გრონინგემი“ 3-0, „ფეიენოორდი“ — „ჰეერენვენი“ 4-3, „ბრედა“ — „ტვენტე“ 0-0, „დენ ჰააგი“ — „ნაიმეგენი“ 0-2, „ვიტესი“ — პსვ 0-1, „ჰერაკლესი“ — „როდა“ 1-1.

სატურნირო ცხრილში 40 ქულით პირველ ადგილზეა პსვ, რომელსაც 5 ქულით ჩამორჩება „ალკმაარი“.



## დღეს ჯგუფური ეტაპი მთავრდება

**დღეს და ხვალ გაიმართება უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრები.**

**A ჯგუფში** უმნიშვნელოვანესი მატჩია — „ბარსელონა“ საკუთარ მოედანზე მასპინძლობს ბრემენის „ვერდერს“ და გამარჯვების შემთხვევაში შემდგომ ეტაპზე გავა. „ჩელსის“ კი „თავი ქუდში“ აქვს. ბოლო ტურში ის საკუთარ მოედანზე „ლევსკის“ მიიღებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩელსი“ | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| „ვერდერი“ | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| „ბარსელონა“ | 5 | 2 | 2 | 1 | 10-4 | 8 |
| „ლევსკი“ | 5 | 0 | 0 | 5 | 1-15 | 0 |

**B ჯგუფში** ყველაფერი გარკვეულია და ბოლო ტურის შეხვედრებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს.

„სპორტინგი“ მიიღებს „სპარტაკს“, ხოლო „ბაიერნი“ ეთამაშება „ინტერს“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-2 | 11 |
| „ინტერი“ | 5 | 3 | 0 | 2 | 4-4 | 9 |
| „სპორტინგი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 2-3 | 5 |
| „სპარტაკი“ | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |

**C ჯგუფიდან** შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება ვადამდე მოიპოვეს „ლივერპულმა“ და პსვ.-მ. ბოლო ტურში ჰოლანდიური კლუბი „ბორდოს“ მასპინძლობს, ხოლო „გალათასარაი“ საკუთარ მოედანზე ეთამაშება „ლივერპულს“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| პსვ | 5 | 3 | 1 | 1 | 5-3 | 10 |
| „ბორდო“ | 5 | 1 | 1 | 3 | 3-6 | 4 |
| „გალათასარაი“ | 5 | 0 | 1 | 4 | 4-10 | 1 |

**D ჯგუფში** მეტად საინტერესო მატჩია — „რომა“ — „ვალენსია“. „რომას“ გამარჯვება სჭირდება, რათა მეორე გამსვლელი ადგილი დაიკავოს.

„ოლიმპიაკოსი“ კი „შახტარს“ მასპინძლობს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვალენსია“ | 5 | 4 | 1 | 0 | 12-5 | 13 |
| „რომა“ | 5 | 2 | 1 | 2 | 7-4 | 7 |
| „შახტარი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 5-10 | 5 |
| „ოლიმპიაკოსი“ | 5 | 0 | 2 | 3 | 5-10 | 2 |

**E ჯგუფის** მატჩები ვერაფერს შეცვლიან სატურნირო ცხრილში. „ლიონმა“ და „რეალმა“ ვადამდე მოიპოვეს შემდგომი ეტაპის საგზურები.

„ლიონი“ „სტიაუას“ დაუპირისპირდება, ხოლო კიევის დინამოელები „სამეფო კლუბს“ უმასპინძლებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლიონი“ | 5 | 4 | 1 | 0 | 11-2 | 13 |
| „რეალი“ | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| „სტიაუა“ | 5 | 1 | 1 | 3 | 6-10 | 4 |
| „დინამო“ | 5 | 0 | 1 | 4 | 3-14 | 1 |

**F ჯგუფში** გაურკვეველი ვითარებაა. ბოლო ტურის მატჩებს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

„სელტიკი“ სტუმრად ეთამაშება „კოპენჰაგენს“, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი“ შინ მიიღებს პორტუგალიურ „ბენფიკას“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მანჩესტერი“ | 5 | 3 | 0 | 2 | 7-4 | 9 |
| „სელტიკი“ | 5 | 3 | 0 | 2 | 7-6 | 9 |
| „ბენფიკა“ | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| „კოპენჰაგენი“ | 5 | 1 | 1 | 3 | 2-7 | 4 |

**G ჯგუფში** ორ საგზურს სამი გუნდი ეპოტინება. „პორტოს“ უმნიშვნელოვანესი შეხვედრა აქვს ლონდონის „არსენალთან“, ხოლო „ჰამბურგი“ მასპინძლობს მოსკოვის ცსკას. არმიელებს მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პორტო“ | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| „არსენალი“ | 5 | 3 | 1 | 1 | 7-3 | 10 |
| ცსკა | 5 | 2 | 2 | 1 | 2-2 | 8 |
| „ჰამბურგი“ | 5 | 0 | 0 | 5 | 4-13 | 0 |

**H ჯგუფში** მეორე საგზურის მფლობელის ვინაობა გაირკვევა. ერთპიროვნული ლიდერი „მილანი“ მასპინძლობს ფრანგულ „ლილს“, ხოლო „ანდერლეხტი“ ეთამაშება აეკ-ს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მილანი“ | 5 | 3 | 1 | 1 | 8-2 | 10 |
| აეკ | 5 | 2 | 1 | 2 | 4-7 | 7 |
| „ლილი“ | 5 | 1 | 3 | 1 | 6-5 | 6 |
| „ანდერლეხტი“ | 5 | 0 | 3 | 2 | 5-9 | 3 |

დასასრულ, შემოგთავაზებთ ევროპული ტოტალიზატორის „ინტერვეტენის“ კოეფიციენტებს ჩემპიონთა ლიგის მატჩებისათვის.

| 5 დეკემბერი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ — „ვერდერი“ | 1,40 | 4,00 | 6,50 |
| „ჩელსი“ — „ლევსკი“ | 1,07 | 8,00 | 18,00 |
| პსვ — „ბორდო“ | 1,70 | 3,30 | 4,50 |
| „გალათასარაი“ — „ლივერპული“ | 2,30 | 3,10 | 2,80 |
| „ოლიმპიაკოსი“ — „შახტარი“ | 2,00 | 3,30 | 3,20 |
| „რომა“ — „ვალენსია“ | 1,60 | 3,10 | 5,60 |
| „სპორტინგი“ — „სპარტაკი“ | 1,60 | 3,60 | 4,80 |
| „ბაიერნი“ — „ინტერი“ | 2,10 | 3,10 | 3,20 |
| **6 დეკემბერი** | | | |
| „ლიონი“ — „სტიაუა“ | 1,30 | 4,20 | 9,00 |
| „დინამო“ — „რეალი“ | 2,50 | 3,20 | 2,50 |
| „მანჩესტერი“ — „ბენფიკა“ | 1,35 | 4,00 | 8,00 |
| „კოპენჰაგენი“ — „სელტიკი“ | 2,40 | 3,20 | 2,20 |
| „მილანი“ — „ლილი“ | 2,30 | 3,20 | 2,60 |
| „ანდერლეხტი“ — აეკ | 2,40 | 3,30 | 2,50 |
| „ჰამბურგი“ — ცსკა | 2,70 | 3,20 | 2,30 |
| „პორტო“ — „არსენალი“ | 3,30 | 1,75 | 3,60 |

# დევისის თასი რუსებმა მოიპოვეს

რუსეთის ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დევისის თასის გათამაშების ფინალში არგენტინის გუნდი დაამარცხა ანგარიშით 3-2. გადამწყვეტ შეხვედრაში მარატ საფინმა 6:3, 3:6, 6:3, 7:6 დაამარცხა ხოსე აკასუსო. ამ მატჩს ბევრი სახელგანთქმული ადამიანი ესწრებოდა. მათ შორის იყო ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა.





## ალექსანდრე მეტრეველი დიდების დარბაზში შეიყვანეს

სახელგანთქმული ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის დიდების დარბაზში შეიყვანეს. ოფიციალური ცერემონია მოსკოვში სპორტკომპლექს „ოლიმპიისკში" გაიმართა.

„მე ბედნიერი ვარ", — თქვა მეტრეველმა.

16 წლიანი კარიერის განმავლობაში ალექსანდრე მეტრეველმა 105 მატჩი ითამაშა დევისის თასის გათამაშებაში. ის უიმბლდონის ტურნირის ფინალისტი იყო 1973 წელს.



## სამოცდამეათედ!

სახელგანთქმულმა ნორვეგიელმა მეთხილამურემ ოლე-ეინარ ბიორნდალენმა თავის კარიერაში საიუბილეო — 70-ე (!) გამარჯვებას მიაღწია.

შვედეთის ქალაქ ოსტერსუნდეში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშების მორიგ ეტაპზე მან სპრინტული რბოლა მოიგო. მისი შედეგი 24 წუთი და 16,2 წამი იყო. ბიორნდალენმა უახლოეს მდევარს მთელი 15,5 წამით აჯობა. მეორე ადგილზე რუსი დმიტრი იაროშენკო გავიდა, ხოლო ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა გერმანელმა მიხაელ გრაისმა.

## ვლადიმირ კლიჩკო: „ევანდერ ჰოლიფილდთან ვიბრძოლო? სისულელეა..."

იბფ-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონმა, სუპერმძიმეწონოსანმა ვლადიმირ კლიჩკომ განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში გავრცელებული ხმების მიუხედავად, არასდროს დათანხმებულა ევანდერ ჰოლიფილდთან ბრძოლის გამართვას.

„ეს ჭორებია, რომელსაც ევანდერ ჰოლიფილდის ბანაკი აგორებს. ევანდერი უკვე 44 წლისაა, ის მსოფლიო კრივის ლეგენდაა. მაგრამ მასთან ბრძოლაზე არასდროს მიფიქრია".

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**5 დეკემბერი, სამშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. „რუსთავი-2".** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „ბარსელონა" — „ვერდერი" (23.40), „რომა" — „ვალენსია" (3.00), EUROSPORT. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (04.00), ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა (12.00), ევროგოლები (12.45), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (13.30), პროგრამა „გოლი" (15.45), სპორტული ტანვარჯიში (17.00), ცურვა (19.00), ფეხბურთი. ტურნირი დოჰაში (20.45), რალი (23.00), კრივი (0.00), EUROSPORT-2. კალათბურთი (16.00), ევროლიგის მიმოხილვა (17.35), ულების თასზე (20.30), **„სპორტი-1".** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატის მიმოხილვა. (8.10), სპორტკლუბი (10.00), ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. „ფიორენტინა" — „ლაციო" (10.55), ესპანეთის ჩემპიონატი. „სარაგოსა" — „ოსასუნა" (14.10), მიმოხილვა (15.55), საჩოგბურთო მიმოხილვა (16.50), ბრაზილიის ჩემპიონატი (19.00), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (17.15), იტალიის სერია „ბ" (20.50), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (22.40), „ბარსელონა" — „ვერდერი" (23.30), „რომა" — „ვალენსია" (01.45), ჰოკეი (06.00).

**6 დეკემბერი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია „რუსთავი-2".** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „მანჩესტერი" — „ბენფიკა" (23.40), „პორტუ" — „არსენალი" (03.00), EUROSPORT. ფარიკაობა (11.30), მაგიდის ჩოგბურთი (12.00), რალი (13.30), ბაიდარებით ნიჩბოსნობა (15.00), ცურვა (19.00), ფეხბურთი. ტურნირი დოჰაში (20.45), ცხენოსნობა (0.00), აფროსნობა (02.00), საბრძოლო ხელოვნება (03.00), EUROSPORT-2. კალათბურთი. ევროლიგა (13.00), ფეხბურთი. ტურნირი დოჰაში (16.00), სნოუბორდი (02.15), **„სპორტი-1".** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (10.25), „ოლიმპიაკოსი" — „შახტარი" (11.20), „რომა" — „ვალენსია" (13.10), „სპორტინგი" — „სპარტაკი" (15.50), „ბარსელონა" — „ვერდერი" (17.40), ჰოკეი. ნჰლ (19.50), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. „მანჩესტერი" — „ბენფიკა" (23.30), „ანდერლეხტი" — აეკ (01.45), ჰოკეი (05.30).

**7 დეკემბერი, ხუთშაბათი**

EUROSPORT. ცურვა (12.00), მაგიდის ჩოგბურთი (14.00), ბაიდარებით ნიჩბოსნობა (18.00), ცურვა (19.00), სნუკერი (22.30), კრივი (0.00), ფეხბურთი (03.00). EUROSPORT-2. ფეხბურთი. ტურნირი დოჰაში (13.00), კალათბურთი (14.00), ფეხბურთი „მანჩესტერი" — „ბენფიკა" (15.25), ტურნირი დოჰაში (17.45). კალათბურთი (23.00), ფეხბურთი. ქალები (0.00), ხელბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა (02.15) **„სპორტი-1".** ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი (08.05), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (09.55), „დინამო" — „რეალი" (10.50), „პორტუ" — „არსენალი" (13.55), ჰოკეი. ნჰლ. „დალასი" — „ფინიქსი" (17.45), საჩოგბურთო მიმოხილვა (19.30), სუდამერიკანას თასი. ფინალი (23.45), კრივი (01.50), პეკინის გზაზე (05.45), ჩემპიონთა ლიგა. „ბარსელონა" — „ვერდერი" (06.00).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. შეკუმშვისა და გაშლის უნარის მქონე ქსოვილი სხეულში, 5. საერთაშორისო ოლიმპ. მოძრაობის უპირველესი იურიდიული დოკუმენტი, 9. ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი. 10. ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, მეკარე, 11. საჭადრაკო ფიგურა, 12. „შტუტგარტის" ფეხბურთელი, 15. გადაწოდება, 16. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 17. სოკ-ის პრეზიდენტი, 19. შეტევის ეფექტური შედეგი ფარიკაობაში, 20. ზაფხულის ოლიმპ. თამაშების მასპინძელი ქალაქი, 21. ზამთრის ერთ-ერთი სპორტის სახეობის ინვენტარი, 23. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, ვახტანგ... 27. ფეხბურთში მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ქვეყანა, 30. ქართულ ჰიდაობაში მუსიკოსთა ერთ-ერთი ინსტრუმენტი, 31. სამაგიდო თამაში, 33. წლოვანება, ანუ... 34. მძლეოსნური იარაღი, 35. ტანვარჯიშული იარაღი.

**შვეულად:** 2. იაპონური ვარჯიშთა სისტემის სახეობა, 3. საქართველოს საკალათბურთო გუნდი, 4. მისალმება კარატეში, 5. გამარჯვებისთვის დარიცხული კოეფიციენტი, 6. ხელოვნური წყალსაცავი, 7. საფეხბ. მწვრთნელ საკის სახელი, 8. გერმანიის საფეხბ. კლუბი, 11. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 12. წარსულში პროფესიონალი მძიმეწონოსანი მოკრივე, ტონი... 13. ქართველი ცხენოსანი, რომელმაც რაიხსტაგზე გამარჯვების დროშაააფრიალა, 14. ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან ძიუდოში, 15. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი (შემოკლებით), 18. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, ვეტერანი მეკარე, 21. ჭადრაკში დროის უკმარისობა, 22. რაგბის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 24. თბილისის ბავშვთა საფეხბ. სკოლა, 25. შეფასება ძიუდოში, 26. არგენტინელი ვაჟი ჩოგბურთელი, 28. ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი, პაოლო... 29. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 32. მოჭადრაკე კრამნიკის სახელი.

**მოამზადა ნოდარ ჯაჯვაძემ.**



### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. „იბერია", 5. ბესტი, 7. ტალინი, 8. იტალია, 9. რავა, 11. ოსი, 14. ლამა, 16. აპერკოტი, 17. ტუა, 18. დეშამი, 20. ვავა, 21. „ალაზანი", 24. ოდო, 28. ტანდემი, 29. „პარმა", 30. მეფე, 32. რუბენისი, 33. ლაზიერი.

**შვეულად:** 2. ბატისტუტა, 3. რალი, 4. ფლავიო, 5. ბიბა, 6. ტაუ, 10. ნაგანო, 12. ვეკუა, 13. ზიდანი, 15. არივო, 19. ბარტეზი, 22. ლიდერი, 23. ზამორა, 25. დიმასი, 26. კაენი, 27. სენა, 31. ნბა.

## „შარლოტა" არ ხუმრობს

გასულ უქმეებზე ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები გაიმართა. „ფილადელფია" სტუმრად 5 ქულის სხვაობით 107:112 დამარცხდა „ნიუ-ჯერსისთან". სტუმართა გუნდს ვერ უშველა ნბა-ს ვარსკვლავის ალენ აივერსონის გაბრწყინებამ.

— მან 37 ქულა შესძინა „ფილადელფიას" და 10 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

„ნიუ-ჯერსის" კარტერმა მოაგებინა, ის მატჩის ნამდვილი გმირი იყო — 41 ქულა მოაგროვა და 8-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

„მაიამიმ" ერთი ქულის სხვაობით 98:97 სძლია „მემფისს". გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე შედეგიანი უეიდი იყო, რომლის ანგარიშზე — 23 ქულაა.

„ტორონტომ" 103:100 დაამარცხა „ნიუ-იორკი", რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ბოშს. მან 26 ქულა მოაგროვა და 13-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

მეტად საინტერესო გამოდგა „დენვერისა" და „ინდიანას" დაპირისპირება. „დენვერმა" 121:101 იმარჯვა. ბრწყინვალედ იასპარეზა ენტონიმ, რომელმაც „დენვერს" 38 ქულა მოუტანა. „კლივლენდმა" 63:81 წააგო „ჰიუსტონთან".

მართალია, „კლივლენდის" კალათბურთელთა შორის ყველაზე შედეგიანი ლებრონ ჯეიმსი იყო (21 ქულა), მაგრამ ეს სრულებით არ აღმოჩნდა საკმარისი საბოლოო წარმატებისათვის.

„იუტამ" ორი ქულის სხვაობით 109-107 მოუგო „სიეტლს". „იუტას" დიდი სამსახური გაუწია ბუზერმა, რომელმაც 24 ქულა მოაგროვა, 8-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 7 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

„ლეიკერსმა" სტუმრად 9 ქულის სხვაობით — 97:88 დაამარცხა „კლიპერსი". სტუმართა გუნდის შემადგენლობაში ყველაზე მეტი — 27 ქულა მოაგროვა კობი ბრაიანტმა.

**სხვა შეხვედრები:** „გოლდენ სტეიტი" — „მილუოკი" 110:115, „ჩიკაგო" — „ვაშინგტონი" 112:94, „სან-ანტონიო" — „საკრამენტო" 100:98.

გუშინ „ფილადელფია" საკუთარ მოედანზე 84:95 დამარცხდა „მინესოტასთან". მასპინძლებს ვერ უშველა აივერსონის კარგმა თამაშმა, რომელმაც 26 ქულა მოაგროვა და 7 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. „შარლოტამ" მორიგი სასწაული მოახდინა — „დეტროიტს" სძლია 97:89. გამარჯვებულთა რიგებში შესანიშნავად თამაშობდნენ ოკაკირი (18 ქულა), მეი (17), კეროლი (16), ფელტონი (15). ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ" სტუმრად მოუგო „პორტლენდს" 107:96. სტუმართა რიგებში საუკეთესო იყო ჯო ჯონსონი, რომლის ანგარიშზეც 33 ქულაა. „კლიპერსმა" 116:91 მოუგო „ორლანდოს", რაშიაც დიდი წვლილი მიუძღვის ბრენდს — მან 31 ქულა მოაგროვა.

„ატლანტის" დივიზიონში 7-7 მოგება აქვთ „ნიუ-ჯერსის" და „ტორონტოს".

ცენტრალურ დივიზიონში „დეტროიტს" 11 მოგება აქვს, ერთით ნაკლები — „კლივლენდს".

სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში „ორლანდოა" პირველ ადგილზე. 13 მოგებით, 7-7 შეხვედრა მოიგეს „ატლანტამ" და „მაიამიმ".

სამხრეთ-დასავლეთში „დალასმა" და „სან-ანტონიომ" 12-12 გამარჯვება იზეიმეს. ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონში „იუტას" 14 მოგება აქვს, ხოლო „დენვერს" — 10.

წყნარი ოკეანის დივიზიონში „ლეიკერსი" პირველ ადგილზეა 11 გამარჯვებით.



## ფელიპე მასა: „მე რაიკონენის არ მეშინია"

**„ფორმულა1"-ის ჯერ კიდევ 2006 წლის სეზონის დასაწყისში ფელიპე მასას „ფერარის" დროებით პილოტად თვლიდნენ, მაგრამ მან საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და კონტრაქტი გაუგრძელეს კიდეც. ფელიპე მასა ახალ სეზონს იმედიანად ხვდება.**

**„მზად ვარ კიმი რაიკონენთან ერთად ვიბრძოლო. კიმი ძლიერი პილოტია, მეც კარგ ფორმაში ვარ ორივენი შევეცდებით საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინოთ" — ამბობს ფელიპე მასა.**

## თარიღები

**5 დეკემბერი**

**1910 წ.** დაიბადა მიხეილ სემიჩასტნი (ფეხბურთი — „დინამო" მოსკოვი). სპორტის დამსახურებული ოსტატი. ხუთგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1937 წ. ქვეყნის თასის მფლობელი. შედიოდა მოსკოვისა და სსრკ ნაკრებში. 1938 წ. დასახელებული იყო საუკეთესოთა შორის. გარდაიცვალა 1986 წ.

**1931 წ.** დაიბადა ლადისლავ ნოვაკი (ფეხბურთი — „დუკლა" პრაღა, ჩეხოსლოვაკია). 1962 წ. მსოფლიო ჩემპიონატის II, ხოლო 1960 წ. ევროპის ჩემპიონატის III პრიზიორი. 1954, 1958 წ.წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. ნაკრებში ითამაშა 75 მატჩი.

**1956 წ.** მელბურნი. საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

**6 დეკემბერი**

**1907 წ.** დაიბადა ჯოვანი ფერარი (ფეხბურთი — „იუვენტუსი" ტურინი, იტალია). 1934, 1938 წ.წ. მსოფლიო ჩემპიონი. ნაკრებში ითამაშა 44 მატჩი და გაიტანა 14 გოლი.

**1918 წ.** დაიბადა აკოფ კერსელიანი (მძლეოსნობა). სამხტომში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვ. სანეევის აღმზრდელი. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

**1922 წ.** დაიბადა გი ტისი (ფეხბურთი — ბელგიის ნაკრების მწვრთნელი). 1980 წ. ევროპის ჩემპიონატის II პრიზიორი. 1982, 1986, 1990 წ.წ. მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე.

**7 დეკემბერი**

**1948 წ.** დაიბადა როლანდ ატენბერგერი (ფეხბურთი — „სვაროვსკი — ვაკერი" ავსტრია, „შტუტგარტი" გერმანია). 1978, 1982 წ.წ. მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე. ნაკრებში ითამაშა 50 მატჩი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე